



საქართველო
სახელმწიფო

K 239-601
3

„გალია აზიანი

ძოგონებები


ვეჯეტონები

შეექსები





899.631-94 + 894.631-7 + 894.631-11
 გორის ლიტერატურული ცხოვრების კვლევაშ არა ენციკლოპედიური
 მნერლისა თუ საზოგადო მოღვაწის სახელი წარმოაჩინა.
 ბევრი მათგანი კარგადაა ცნობილი მკითხველთა ფართო
 საზოგადოებისათვის. მათ შორის ბოლომდე შეუსწავლელი და
 სრულიად უსაფუძვლოდ მივიწყებული აღმოჩნდა ნიჭიერი
 დრამატურგი ქალი ნატალია აზიანი. ჩვენ გადავწყვიტეთ
 აღნიშნული ნაკლოვანების შეძლებისდაგვარად გამოსწორება,
 რის გამოც წარმოვადგენთ მკითხველის სამსჯავროზე მისი
 შემოქმედების ზოგიერთ ნიმუშს.



წიგნი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო
 ნინო ბიბილაშვილმა

რედაქტორება: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები
 ნონა კუპრევიშვილი
 გურამ ჭოხონელიძე

რევიზიუნტება: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
 ირაკლი კენჭოშვილი
 ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
 მირანდა ტემშვილაშვილი

ISBN 99928-16-83-X



1239601

შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ატურგო ძორის (ავტ. ცაგარულიძის) წარმოშოგებულ საპატიო იდეალი ურცებულის მიზანზე იდეალის მიზანზე და კრიტიკული ირცერობის და სამარტინო მიზანზე მარტინი ერთგვარი გადამდებული იყო. მიხო ნამდვილობრივ დაუდინაოდ, (მარტინის ლიტერატურის) კრიტიკული ელემენტი დამატებით, ჩრეა როველი მარტინის სომხის ძალების კრიტიკულობის შენინაში კი ღია ტერიტორიების ჭრით მარტინი უნდობით დაუდინაოდ, მაგრა თავის მიმღებ რიცხვების მიზანზე ცდილობენ სამუშაოს მიზანზე, კრიტიკული მიზანზე ცდილობენ სამუშაოს მიზანზე. და ეს არ უნდობით მარტინის კრიტიკული მიზანზე მარტინი უნდობით არ უნდობით მარტინის კრიტიკული მიზანზე. უნდობითი მარტინი უნდობით დაუდინაოდ, მარტინის კრიტიკული მიზანზე მარტინი უნდობით დაუდინაოდ, მარტინის კრიტიკული მიზანზე.

ნატალია აზიანი

“მარტინის კრიტიკული მიზანი მარტინის კრიტიკული მიზანი” მარტინის კრიტიკული მიზანი მარტინის კრიტიკული მიზანი.

მოგონებები

“მოგონები” მარტინის კრიტიკული მიზანი მარტინის კრიტიკული მიზანი.

ფელეტონები

“ფელეტონები” მარტინის კრიტიკული მიზანი მარტინის კრიტიკული მიზანი.

ლექსები

“ლექსები” მარტინის კრიტიკული მიზანი მარტინის კრიტიკული მიზანი.

“მარტინის კრიტიკული მიზანი” მარტინის კრიტიკული მიზანი.

“მარტინის კრიტიკული მიზანი” მარტინის კრიტიკული მიზანი.


“მარტინის კრიტიკული მიზანი” მარტინის კრიტიკული მიზანი.

თბილისი 2001 წელი

შინაარსი

საქართველო
2022 წლის 10 მაისი

5. შინაარსი
6. ნატალია აზიანი
22. მოგონებები. ფელეტონები. ლექსები.
23. მოგონებები.
24. უნინდელი გორი
42. „ვეღარ ვიცან ჩვენი დედა“ (წერილი ძმასთან)
44. აკაკი წერეთლის ხსოვნას
65. მცირე მოგონებები ქართველ მწერლებზე
76. სოსო ჯუღაშვილთან შეხვედრის ორი შემთხვევა
79. ყაჩაღების ჩამოხრჩობის ამბავი გორში
83. ფელეტონები
84. „კითხვა-პასუხი“
88. „თვითმკვლელის წერილიდან“
91. ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან
95. ლექსები
97. „წითელი ჯვარი“
98. „უთავო ძეგლი“
101. ვუძლვნი ნინო ზაქარიას ასულ ჯორჯაძისას
102. ნინო ზაქარიას ასულ ჯორჯაძისას
103. ვუძლვნი ე...ნ...ს
104. შენიშვნები



ნატალია აზიანი



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფეხადგმულ დრამატურგთა შორის (ავქ.ცაგარელი, ზ.ანტონოვი) საპატიო ადგილი უჭირავს ნატალია აზიანს. ეს ნიჭიერი დრამატურგი ქალი თავის ბიოგრაფიით ქალაქ გორთანაა დაკავშირებული. მისი ნამდვილი გვარი დონდაროვაა, (1878 წელს დრამატურგი ქალი დაიბადა გორში, გაქართველებული სომხის შეძლებულ ოჯახში). აზიანი კი ლიტერატურული ფსევდონიმი, რომელიც დამწყებ იმედისმომცემ დრამატურგს „ივერიის“ რედაქციის თანამშრომლებმა შეურჩიეს. აი, როგორ იგონებს ამ ეპიზოდს თავად ნატალია აზიანი ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „ჩემი თავგადასავალი“¹, „მე მაშინ ისეთი გამოუცდელი ვიყავი, რომ ფსევდონიმის არჩევაშიც კი „ივერიის“ თანამშრომლები დამეხმარნენ. მახსოვს, როცა არტემ ახნაზაროვი წერილით შემეკითხა, როგორ მოვიქცეთ, რა მოვაწეროთ თქვენ პიესას, ნამდვილი გვარი თუ ფსევდონიმს აირჩივთ, მე მივწერე: „რაც გინდათ მიაწერეთ, ოღონდ ჩემს გვარს ნუ გაამხელთ-მეთქი (მეშინოდა პიესის ჩაფუშვისა)².

საინტერესოა, რომ მშობლიურ ქალაქში ნატალია დონდაროვას სახელი დაუდეგარი ხასიათით, ენაკვიმატობითა და იუმორის განსაკუთრებული გრძნობით ჰქონდა განთქმული. მისი დაცინვის ობიექტი ხდებოდა ყველა სახასიათო ტიპი, რომლითაც, როგორც თვითონ



ამბობს, სავსე იყო მაშინდელი გორი. „როცა წამოჟოზაურია რდე - იხსენებს დრამატურგი, - ესე 15-16 წლისამ, მეც დავინცე პატარ-პატარა იუმორულ-სატირიკული სცენების, ლექსების წერა გორელ „მეშჩან“-ობივატელებზე, ვაჭარ-ჩარჩებზე და მათ მეჭორე ცოლებზე, მოქეიფე თავად-აზნაურებზე და სხვა. ნაწერს ბევრჯერ ჩემ მიერვე ნახატ კარიკატურებსაც ურთავდი — ამ ამბავმა მთელი გორი გადამამტერა, არა თუ მარტო მე, არა-მედ ჩემ მშობლებსაც... მშობლები მიჯავრდებოდნენ, მტუქსავდნენ, მაგრამ მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი: ვწერდი და ვხატავდი, ვხატავდი და ვწერდი გორელ „ობივატელებს“, რომელიც აუარებელ იუმორულ მასალას იძლეოდნენ“.³ ბუნებრივია, შეურაცხყოფილი და განაწყენებული საზოგადოება უარყოფითად შეაფასებდა ახირებული თანაქალაქელის პირველ სამწერლო ცდებს. მით უმეტეს, რომ ამგვარ გატაცებას (მხედველობაში გვაქვს მწერლობა) იგი ქალისათვის ფრიად შეუფერებელ საქმიანობად მიიჩნევდა. „ლანძღვის მწერალი“ — აი, როგორი შეფასება მიიღო მაშინ წატალია აზიანმა თავისი ჩანახატების პროტოტიპისაგან, არტემ ახნაზაროვთან გამოთქმული მისი შიშიც პიესის ჩაფუშვის გამო, საზოგადოებაში მოპოვებული სწორედ ამ არასახარბიელო ავტორიტეტით იყო გამოწვეული. შეიძლება ითქვას, წატალია აზიანმა მთელი სისრულით იწვნია პროვინციულ ქალაქში მცხოვრები ხელოვანის, უფრო მართებული ვიქებოდით თუ ვიტყოდით, რეალისტი



მწერლის ხვედრი. საკუთარ მკითხველთან ხშირად კონფლიქტამდე მისული ურთიერთობა მან მხატვრულად გაიაზრა, ოსტატურად განაზოგადა და შექმნა ფრიად საინტერესო, მნარე სინამდვილის ამსახველი პიესა „ვაი კალმისაგან“, რომელიც 1909 წელს გორში ა. კალანდაძის სტამბაში დაიბეჭდა.

პირველი პიესა „ინჯილერი ან დოხტური“ იმდენად იღბლიანი აღმოჩნდა, რომ ამ ნაწარმოებმა არა მარტო ქართულ სცენაზე, ცნობილ ქართველ მსახიობთა რეპ-ერტუარში იპოვა თავისი ადგილი, არამედ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავტორმა თვით დიდი ილიას ყურადღება დაიმსახურა. ცნობილია, რომ სწორედ ილიამ გადასცა მის მიერ მოწონებული აზიანისეული პიესა ქართული თეატრის სცენაზე დასადგმელად ქართულ დრამატულ საზოგადოებას, რასაც ნარმოდგენის ნარმატებული პრემიერა და მაშინდელი პერიოდული პრესის ფართო გამოხმაურება მოჰყვა.

ყველა მკვლევარი, ვისაც კი მიმოუხილავს ნატალია აზიანის ცხოვრება და შემოქმედება (ს. ხუციშვილი, კ. აბაშიძე,⁴ ნ. ჩიხლაძე) იმოწმებს 1898 წლის 18 იანვრის „ივერიის“ ნომერში დაბეჭდილ რეცენზიას, რომელიც „მე გახლავარ“-ის ფსევდონიმით „ივერიის“ მაშინდელმა კორესპონდენტმა მიხეილ ნასიძემ გამოაქვეყნა⁵. მასში რეცენზენტმა „ინჯილერის და დოხტურის“, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი პიესის, მხატვრული და სცენიური შეფასება მოგვცა. აღსანიშნავია, რომ თავად

ნატალია აზიანიც „ივერიის“ მიერ საქვეყნოდ გაცხადებულ მხარდაჭერას სიცოცხლის პოლომდე დიდ პატივად მიიჩნევდა. (რასაც მისი მოგონებები მოწმობს), მეტიც, ამ რეცენზიას ახალი შემოქმედებითი იმპულსი მიუცია დრამატურგისათვის. გაზეთ „ივერიის“ რეცენ-ზიით ნახალისებულმა დავწერე მეორე კომედია „ფული და ხარისხი“, რომელსაც დიდი გამარჯვება ხვდა წილად“-ო, იხსენებს თავის მოგონებებში ნ. აზიანი. აქვე იგი აღწერს იმ შეხვედრას, რომელიც მისი პირველი პიესის პრემიერას მოჰყოლია. კულისებში მაშინ სხვებთან ერთად ილიაც შემოსულა და დარცხვენილი ავტორი თავისი კეთილგანწყობითა და შექებით გაუმხნევებია. თუმცა იქვე უთქვამს კიდეც: „თავში არ აგივარდეთ ქება-დიდება, უფრო ღრმად ჩააკვირდით ცხოვრებას, ბლომად იკითხეთ წიგნები, სცენა შეისწავლეთო“-ო. აი, რას იუნიებოდა მიხეილ ნასიძე თავის რეცენ-ზიაში: „ქართულ მწერლობას, საზოგადოთ, და ქართულ თეატრს, კერძოდ, უნდა მოვულოცოთ შეძენა ახალის და უტყუარის ჭეშმარიტის ნიჭიერებისა. ეს ნიჭიერი და დიდის იმედების აღმძვრელი კალამი არის, კალამი ახალგაზრდა ავტორის ქალისა-აზიანისა. ახალგაზრდა ჯერ უცდელი და გამოუცდელი კალამი და ესოდენი სიამოვნება და აღტაცება საზოგადოებისა! რა არის ეს, თუ არა უტყუარი სიგელი ნიჭისა?... მოგვწონს ეს პიესა აზიანისა უპირველესად იმიტომ, რომ იგი არის ფურცელი ამოგლეჯილი ნამდვილი ჩვე-



ნი დროის ცხოვრების წიგნიდან. ჩვენ არა ვართ ცხოვრებულნი და განებივრებულნი ქართულ სცენაზედ ცხოვლად დახასიათებულ ადამიანების ხილვით. უფრო ხშირად ჩვენ ვხედავთ კარიკატურებს „... აქვე მიხეილ ნასიძე ნატალია აზიანის, როგორც დრამატურგის, გამორჩეულ ხელწერასა და ცხოვრებისეულ პრობლემათა თავისებურ ხედვაზე ამახვილებს ყურადღებას. ავტორის აზრით, თუ ნატალია აზიანის წინამორბედი ცნობილი დრამატურგები გიორგი ერისთავი, ავქტაგარელი, ზ.ანტონოვი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ წარმომადგენლებს ხატავდნენ, რომლებსაც პირობითად „ძველი კაცები, ძველი თაობის წარმომადგენლები“ შეიძლება ვუწოდოთ, ნატალია აზიანის გმირები გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში განათლება მიღებული „კულტუროსნები“ არიან, რომლებიც მიუხედავად დიპლომებისა და სამეცნიერო ნიშნებისა, თავიანთ წინამორბედთაგან შორს არ წასულან და ცხოვრებას არა შენების, არამედ გამორჩენის თვალით უყურებენ. როგორც ჩანს, განათლების, კულტურის მხოლოდ პრაგმატული ინტერესით მიღება-შეფასება ხშირი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ საკითხის წამოწევა ამიტომაც ახარებს „ივერიის“ რეცენზიენტს. „მისი პიესა—წერს გაზეთი—რომ იტყვიან დაწერილია ხალხი ... ქ-6 აზიანის სასახელოდ უნდა იყოს მისი პიესი და ამავე დროის ცხოვრების შესახებ და მისი პიესის განვითარების შესახებ“ ამ რეცენზიენტის მიხედვით აზიანის წარმომადგენლები არ იყო მისი პიესის განვითარების მთავრი მოწოდევა. ამ რეცენზიენტის მიხედვით აზიანის წარმომადგენლები არ იყო მისი პიესის განვითარების მთავრი მოწოდევა. ამ რეცენზიენტის მიხედვით აზიანის წარმომადგენლები არ იყო მისი პიესის განვითარების მთავრი მოწოდევა.

და ვთქვათ, რომ ზნეობრივი ზეგავლენა მისის პიესის პიესისა
 მაყურებელზედ საუცხოვოა⁶.

ასეთივე გამოძახილი პეოვა მეორე პიესამაც „ფული
 და ხარისხი“, რომლის შექმნა, როგორც უკვე აღვნიშნეთ,
 პირველი პიესის ნარმატებამ განაპირობა. 1936 წ.
 გამოცემულ ნატალია აზიანის პიესებში⁷, რომელსაც
 ნამდვარებული აქვს კოკი აბაშიძის შესავალი წერილი
 და მწერლის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებსაც შეიცავს,
 შეტანილია ნატალია აზიანის თითქმის ყველა პიესა:
 „ინჯილერი ან დოხტური“, „ფული და ხარისხი“, „გაც-
 რუებული იმედები“, „ხან ასე და ხან ისე“, „ვაი კალ-
 მისაგან“, „პოლიტიკური დურაჩქა“, „დეზერტირება“.

„ფული და ხარისხი“, ისევე როგორც „ინჯილერი ან
 დოხტური“, მაშინდელი საზოგადოების სხვადასხვა ფე-
 ნის სულიერ სიღატაკეს ავლენს. როგორც მოგახსენეთ,
 თავადაზნაურობასთან და ჩარჩ-ვაჭრობასთან ერთად,
 აქ გამოყვანილია ახალი ე.წ. მოლიბერალო ფენაც,
 რომელსაც ჯერ თავისი სახე არა აქვს და არც ის
 ცხოვრებისეული პრინციპები გააჩნია, რომელთა დაცვა
 აუცილებელია საკუთარი ლირსების მქონე ადამიანე-
 ბისათვის. ფულისადმი გადამეტებული ლტოლვა ამ
 ადამიანებისათვის არა თუ სიხარულის, არამედ ნამდ-
 ვილი უბედურების მიზეზი ხდება. ამ გარემოებას ადა-
 სტურებს „ინჯილერი ან დოხტურის“ ერთ-ერთი გმირი
 ანუშეკა გულადოვი, რომელმაც თავისი მშვენიერი ქალი
 პროფესიით ინუინერ გასპარ უზარნოვს მიათხოვა და




თან სიძეს კარგა მოზრდილი თანხაც ჩაუთვალიშვილისა და გიეროდ ანუშკამ და მისმა ქალმა ძალმომრეობისა და დამცირების სიმწარე იგემეს. „ფულით დარდი ვიყიდე!“—ამბობს ეს ახალგაზრდა ქვრივი და დასტირის თავის უნუგეშო მდგომარეობას. „ფული და ხარისხშიც“ გამოყვანილი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა ლამბაძეთა დევიზი ასეთია: „სწავლა აღარ გვინდა, პომეშჩიკობა გვინდა“, რაც ფულიანი ქალის შოვნითა და ლირსების შემლახავი, ანგარებიანი ქორნინებით უნდა დამთავრებულიყო. ამ პიესას შემთხვევით როდი გამოეხმაურა უურნალი „კვალი“, რომელიც მაშინ ილიასეულ „ივერიას“ ერთგვარ ოპოზიციაში ედგა და სოციალური პრობლემებისადმი გამძაფრებულ ინტერესს იჩენდა.

„მირზა-ხანის“ ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში „კვალის“ ავტორი ასაბუთებს ნატალია აზიანის პიესის მნიშვნელობას მაშინდელი საზოგადოების საკმაოდ შერყეული ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის. რეცენზენტის აზრით, საინტერესო ის არის, რომ ყავლი გასვლია უნინდელ მორიგებას გაღარიბებულ თავადსა და მდიდარ სომეხ ვაჭარს შორის. მართალია, ახალგაზრდა უსაქმური თავადიშვილი ლამბაძე ახერხებს არტემ ფულიანცის ქალის შერთვას, მაგრამ თავად ფულიანცს კარგად შეუგნია ახალი დროების მიერ მოტანილი ცვლილება, რაც თავადიშვილთა არა მარტო ნოდებრივ, არამედ გონებრივ უპირატესობაშიც უნდა გამოიხატოს. „არტემებმა გაიგეს“—წერს კვალის ავტო-

რი,—რომ კნიაზობაში აღარა ყრია რა, თუ თავისი დრო
ჯიბე ცარიელია, ამიტომაც გაჯავრებული ეუბნება ბა-
ტონ სიძეს: „თავადობის მეტი ხომ არა მოგიტანია რა,
ძმავ, აიკიდე და საცა გინდა იქ ატარეო“. ხოლო ცო-
ლის ძმას ურჩევს თავადის მაგივრათ ან ინჯინერს მი-
ეცი შენი ქალი, ან დოხტურს, ან არა და ადვოკატსაო
— ფულების წყალობით სომხის ჩარჩებმა დოქტორ-ინჟ-
ენრები გაიმრავლეს. ჩვენ თავადებს კი მხოლოდ ხანჯ-
ლები შემორჩათ ხელში თავისი თავის და მოძმეთა
დასაღუპვათ“... — ასკვნის „კვალის“ რეცენზენტი.

პიესა, მართლაც, მწვავე გამოდგა. ცნობილმა ქართვ-
ელმა მსახიობმა ნატო გაბუნიამ ერთხელ თურმე შეს-
ჩივლა ნატალია აზიანს: „საცა კი შენ „ფულ და ხარ-
ისხს“ ვდგამთ, ყველგან კნიაზები ხმლებით აჩეხვას
გვემუქრებიან“-ო.

სცენაზე წარმოდგენილი სიტუაციები რეალური ცხოვ-
რებიდან იყო აღებული. დრამატურგის მხატვრულ გამ-
ონაგონს არაჩვეულებრივ დამაჯერებლობასა და სიმძა-
ფრეს პმატებდა შესანიშნავ მსახიობთა ანსამბლი, რომ-
ლებიც თავიანთი უზადო ოსტატობით მრავალმხრივ
განაპირობებდნენ პიესის წარმატებას, თავად დავით
ლამბაძეს ასახიერებდა ი. იმედაშვილი, არტემ პეტრუ-
ზიჩ შარბათოვს ვ. აბაშიძე, მის მეუღლე-სოფიოს, ნა-
ტო გაბუნია—ცაგარელისა, შარბათოვების ქალიშვილს
ტასო აბაშიძე, თავად ლევან ლამბაძის გამზრდელს კი
განუმეორებელი ელ. ჩერქეზიშვილი. სწორედ ამ ფაქტ-



ზე ამახვილებს ყურადღებას კოკი აბაშიძე, როდენტაც
ნიჭიერ მსახიობთა თავმოყრას ნ. აზიანის პიესაში არა
მხოლოდ ქართულ სასცენო ხელოვნების, არამედ თა-
ვად დრამატურგის წარმატების მიზეზად მიიჩნევს: „სა-
ზოგადოდ უნდა ითქვას,-წერს კ.აბაშიძე,-რომ ნატალია
აზიანის პიესებს თავიდანვე ბედი წყალობდა. არ იყო
საკმარისი მარტო ის, რომ მისი კომედიები ნიჭიერის
კალმით იყო შექმნილი და მაშინდელ თეატრალურ
ცხოვრებისათვის უსათუოდ საგრძნობ განძს წარმოადგ-
ენდა; საჭირო იყო ამასთანავე ისიც, რომ ეს პიესები
ნიჭიერ მსახიობებს განესახიერებინათ სცენაზე. და
მართლაც, მწერლის ერთ-ერთი საუკეთესო კომედია
„ფული და ხარისხი“ პირველად ქართულ სცენაზე 1899
წლის 21 ოქტომბერს დაიდგა ამავე სცენაზე სახელო-
ვანი მსახიობების: ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნია-ცაგა-
რელის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, ალ-
ექსანდრე იმედაშვილის, კოტე შათირიშვილის მონანილ-
ეობით.

ცხადია, პიესის დადებითი მხარეები კიდევ უფრო ნა-
თლად გადაიშლებოდნენ მაყურებლის წინაშე ასეთი ნი-
ჭიერი მსახიობების თამაშის შემდეგ“...

როგორც ჩანს, დავიწყებას არ მიეცა ი. ჭავჭავაძის
შეგონება, რომელიც ნ. აზიანმა კულისებში, თავისი
პირველი პიესის წარმატებული პრემიერის შემდეგ მოი-
სმინა: სხვადასხვა სასწავლებლებში ხანმოკლე სწავლე-
ბის შემდეგ მწერალი ქალი თვითგანვითარებას ეძლევა,



ხოლო თეატრის უკეთ გაცნობის მიზნით მოსკოვს შემუშავა
მგზავრება, სადაც კოტე მარჯანიშვილის დახმარებით
რეგულარულად ესწრება დიდი თეატრის ნარმოდგენებს.
საერთოდაც, 6. აზიანის პირვენების ჩამოყალიბებაზე
დიდი ზეგავლენა იქონიეს იმ საინტერესო ადამიანებმა,
რომლებიც მას ცხოვრების გზაზე შეხვდნენ. ადრეულ
ბავშვობაში-ივ. ჯავახიშვილმა, სკოლაში სწავლისას
ქართული ლიტერატურის პედაგოგმა-ნიკო ლომოურმა,
შემდგომ, მისი პირველი ლიტერატურული ცდების შემ-
ფასებელმა ალ.ხახანაშვილმა, რომელიც ზაფხულობით
პეტერბურგიდან ეწვეოდა ხოლმე მშობლიურ გორს, კე-
თილგანწყობილმა და ობიექტურმა მკითხველებმა ანტ.
ფურცელაძემ და ივ.გომართელმა, შესანიშნავმა საზო-
გადო მოღვაწე ქალმა ანასტასია თუმანიშვილ-წერე-
თელმა, რომლის სახლშიც, თბილისში, ნატალია აზიანი
ნლების მანძილზე ცხოვრობდა, და, რა თქმა უნდა,
XIX საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებ-
რივი ცხოვრების თავკაცებმა ილიამ და აკაკიმ. სწო-
რედ ანასტასია თუმანიშვილის ოჯახში ეზიარა პირვე-
ლად 6.აზიანი შინაარსიანი და საინტერესო შეხვედრე-
ბის მადლს, ახლოს გაეცნო მაშინდელ ქართველ საზო-
გადო მოღვაწეებს, შეიგრძნო და გაითავისა მათი ფიქ-
რი და სატკივარი, კიდევ უფრო ღრმად ჩაიხედა საკ-
მაოდ პრობლემატური ქართული ყოფის დეტალებში.
როგორც ჩანს, ყველაზე დიდი სიხარული მისთვის აკა-
კისთან შეხვედრებს მოუტანია. „ქალო, შენ სანახავათ

გორში მოვდიოდიო“ -ჩვეული იუმორით მიუმჯობავს
აკაკის ნ. აზიანისათვის, რაზედაც აღელვებულსა და
დაბნეულ ახალგაზრდა ქალს გულწრფელად უპასუხნია:
„თქვენ შეიძლება დამცინით, ბ-ნო აკაკი, მაგრამ მე
კი, მართლაც, თქვენ სანახავათ თბილისში გიახელით-
მეთქი“. ამ და სხვა შეხვედრების ამსახველი მოგონებე-
ბი ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ნატალია აზია-
ნის ფონდში ინახება: ავტოგრაფიული სახის ჩანაწერე-
ბი, სათაურით „ჩემი თავგადასავალი“, შეხვედრები
ცნობილ თანამედროვეებთან, ნ.აზიანის ცხოვრების არა
ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს აშუქებს. აქვეა მწერლის
მშობლიური გორისადმი მიძღვნილი მხატვრულ-ეთნოგრ-
აფიული მასალა-„უნინდელი გორი“, რომელიც XIX სა-
უკუნის დასასრულის ქართული პროვინციის ცხოვრების
ამსახველ უაღრესად საგულისხმო სურათს იძლევა.
ნ.აზიანი ძალზე კარგად იცნობს ქართლის შუაგულს,
ქართლელთა ხასიათის თავისებურებებს. ყველგან იგრ-
ძნობა სიყვარული საკუთარი გმირებისადმი, მაშინაც კი
როდესაც მწერალი მათ ნაკლოვანებებზე მიგვანიშნებს.
ამ თვალსაზრისით, ნატალია აზიანი ერთგვარ სიახლო-
ვეს ამჟღავნებს დ.კლდიაშვილის შემოქმედებით მრწამს-
თან, რომელიც ადამიანისადმი სიყვარულით იყო გამთ-
ბარი.

მშობლიური კუთხისადმი ნ. აზიანის განსაკუთრებულ
დამოკიდებულებას ადასტურებს მისი ერთი პირადი წე-
რილი გაგზვნილი უფროსი ძმის, პეტრესადმი, 1939

ნელს. წერილს ეპიგრაფად ნამძღვარებული აქვს პუმკი და მას შემდეგ მის სახელი სტრიქონები: „и дым отечества нам сладок и приятен!“ აი, რას წერს ნატალია აზიანი ძმას: „ძმაო პეტრე! ერთი კვირაა გორში ვარ... ო ოჰ! რომ იცოდე, რა სიამოვნებას ვგრძნობ დიდი ხნის უნახავ საყვარელ დედის—ჩვენ სამშობლო გორის გულზე! ჯერ თბილი-სიდანვე გზაში, მატარებელში, ისეთი მოუთმენლათ მოვილტვოდი აქეთენ ასე გეგონებოდა—თორმეტი წლის ბავშვი,... მოეშურება სამშობლო კერისკენ. გზა და გზა სულ რაფიელ ერისთავის მშვენირ ლექსებს ვდუდუნებდი: „სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ“... დავინახე თუ არა გორის ციხე, თვალებზე ცრემლი მომადგა... ისე ამიტოკდა გული, ისეთი ზღვა გრძნობები და ტყბილი მოგონებანი ამეშალა, თითქო პირველ სიყვარულს, ახალგაზრდობის გატაცება-ოცნებას შევხვდი ამ სიბერის დროს. მეც არ ვიცოდი, რომ სკეპტიციზმთან ერთად ლირიზმის და სენტიმენტალობის მადანიც ყოფილა ჩემში“...

საუკუნის დასაწყისში ნატალია აზიანი მარქსისტულმა იდეებმა გაიტაცა. ამ გარემოებას ხელს უწყობდა უფროსი ძმის პეტრეს აქტიური რევოლუციური მოღვაწეობა. სწორედ პეტრეს დახმარებით გასცნობია ნ.აზიანი კრავჩინსკის „კოუხოვს“ და კენის „ციმბირი და გადასახლება“-ს, რომელთაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. თავის მემუარებში მწერალი ახსენებს ვინმე ჟოზე ბარამოვს, მოსკოვიდან მშობლიურ გორში





გადმოსახლებულ სტუდენტ-მედიკოსს, რომელსაც თავისი რევოლუციური იდეებითა და მარქსისტული ლიტერატურით დიდი ზეგავლენა მოუხდენია მაშინდელი გორის ახალგაზრდობის ერთ ნაწილზე, მათ შორის სტალინზე. ბარამოვი „ვგონებ პირველი მარქსისტი იყო, რომელიც მოევლინა გორს“—აცხადებს ნატალია აზიანი.

1905 წლიდან ნ. აზიანის ფელეტონები და ლექსები იძეჭდება მაშინდელი მარქსისტული მიმართულების პერიოდულ ორგანოებში: „ჩვენი გზა“, „სიტყვა“, „ჩვენი ცხოვრება“, „ტალღა“, „ლახვარი“, „მნათობი“. თავის კორესპონდენციებს მნერალი ქალი რუსულ გაზეთებსაც („Театр и искусство“, „Биржевые ведомости“) უგზავნიდა.

თავის მოგონებებში ნატალია აზიანი ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ ილია აზიანისეულ კორესპონდენციებს და ფელეტონებს მისთვის მიუღებელი სოციალ-დემოკრატიულ პრესის ფურცლებზეც კითხულობდა: „...ხან პართენ გოთუა, ხან რომელიმე სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწე-მწერალი გადმომცემდა ხოლმე; „ილიას ძალიან მოეწონა შენი ახალი პიესა“, „ილიამ ბევრი იცინა შენ უკანასკნელ ფელეტონზეო“, თუმცა მე მაშინ ამ ფელეტონებს სოციალ-დემოკრატების პრესაში ვათავსებდი და ილია სრულიათაც არ იზიარებდა ამ მიმართულებას. სწორეთ ამ მიუდგომლობაში იხატება მისი ღრმა ჭკუა და ნამდვილი დემოკრატიბა!“⁸

ჩვენ საგანგებოდ მოვიკვლიერ უფრო გვიანდელ პერიოდში, როდიკაში გაძნეული ნატალია აზიანის პუბლიკაციები, რომელთაგან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია 1920 წელს გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდილმა ფელეტონებმა. აი, რამდენიმე მათგანი: „თვითმკვლელის წერილიდან“, „კითხვა-პასუხი“, „ინტერვიუ ქ-ნ დემოკრატიასთან“⁹. აღნიშნულ ფელეტონებში არაჩვეულებრივი სიზუსტითაა გადმოცემული გარდამავალი ხანის ცოციალ-ეკონომიკური ცხოვრების სირთულე, რომლის ფონზე ნატალია აზიანის მიერ გაცოცხლებულ გმირთა უადგილო აღსარებები, გაუთავებელი კითხვები და პასუხები ტრაგი-კომიკურად უღერენ. მნერალს არსად არ დალატობს იუმორის გრძნობა, რომლითაც მისი „თხრობაა გაჯერებული სწორედ იუმორი აინიჭებს სიმსუბუქეს ფელეტონებში აღწერილ საკმაოდ მძიმე ცხოვრებისეულ სიტუაციებს და მას მკითხველისთვის ადვილად გადასალახავს ხდის. ფელეტონი „კითხვა-პასუხი“ ძალზე პრობლემატური საუბარია მამაშვილს შორის. ცოცხალი სამეტყველო ინტონაცია, იუმორით შეფერილი მნარე სიმართლე ფელეტონის მკითხველისათვის გასაგები და დასამახსოვრებელი ხდება. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

ნატალია აზიანის არქივში ჩვენ არაერთ გამოუქვეყნებელ მასალას ნავაწყდით, რომელთა შორის არის ლექსებიც. მძაფრი სატირა თავისი მიუკერძოებლობით ცნობილ დრამატურგს პოეზიაშიც გამოუყენებია. პირ-



ველი მსოფლიო ომის დროს მას დაუწერია სატერიტო
ხასიათის ლექსები: „ნითელი ჯვარი“ და „უთავო ძეგ-
ლი“, რითაც გორის მაშინდელი მმართველობის გულის-
წყრომა და დიდი ხმაური გამოუწვევია: „ნითელი
ჯვარი“ ამხელს ადამიანებს, რომლებიც თავიანთ
სასიკეთოდ იყენებენ ომის საშინელებებს, ხოლო რაც
შეეხება „უთავო ძეგლს“ — მისი დაწერის მიზეზი ერთი
კურიოზული ფაქტი აღმოჩნდა: გორის თავკაცებს, სხვა
ქალაქების მიბაძვით, გორშიც ძეგლის დადგმა გადა-
უწყვეტიათ. მათ აღუმართავთ კიდეც პოსტამენტი, შემ-
დეგ კი დაუწყიათ ფიქრი იმაზე, თუ ვისთვის დაედგათ
ძეგლი. ნატალია აზიანს მარჯვედ გამოუყენებია გორის
თავკაცების უადგილო წინდახედულება და მაშინდელ
იუმორისტულ გაზეთ „ეშმაკის მათრახში“ უთავო ძეგ-
ლის აღმართვა უსაგნო, ცრუსაქმიანობის სიმბოლოდ
დაუსახავს:

„თავმოჭრილი ხარ და ჩვენც თავსა გვჭრი,

ზედ ხიდის ყურზე გამოჭიმულ ხარ!

ამვლელ-ჩამელელთან ურცხვათ ხმას გვიყრი:

„მთელი გორისა ემბლემა მე ვარ!“

ნატალია აზიანი რეალისტი მწერალია. იგი XIX საუ-
კუნის ქართული მწერლობის რეალისტური სკოლის მი-
მღევარია, „ცრემლიანი სიცილი“, რომელსაც იღია
ჩვენი საზოგადოების განკურნების უპირველეს საშუა-

ლებად მიიჩნევდა, მის ნაწარმოებებში ძალუმად იშმის.
 მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი, რაც მას
 სხვებისაგან გამოარჩევს: ესაა დეტალებისადმი მნერ-
 ლის გამახვილებული ყურადღება, „მისი უდიდებულე-
 სობა დეტალის“ გაფეტიშება, რაც არაჩვეულებრივ სი-
 ზუსტესთან ერთად, დიდ დამაჯერებლობას ანიჭებს
 მთელს მის შემოქმედებას.

ნინო ბიბილაშვილი

მოგონებები
 იზცემოგონ
 იზცემოჟივეც
 იზცეცლ

ასტრი შუალუამდე იმინერვალის სისტემაზე უნდღილი და
სამიაკონ დიქმის გორგანი იმინერვალის სისტემაზე უნდღილი.
მიკრო რიზოფილი რიზოფილი მონაცემების დოკუმენტების დამყოფი
რიზოფილი ის არის მიკრო რიზოფილი სისტემის კონკრეტულ
ასურებულის განაკვეთი მონაცემების ტექნიკური დოკუმენტების
სრული და მატერიალური განაკვეთი. სუბზე კურსული ციფრული
შესტერი აუთავთ ძეგლს” — მისი მატერიალური ნიჭი ასურებულ
იურიდიული ვალიური იღმინდა: გორის თავისაცემს, ხევა
კალაქების მიმდევით, “გორის ძეგლის დაღვარა” გადა-
უწყეტათ. მათ დაუკავშირდათ კოდექტ პოსტმერტი, შემ-
მოგონებები კოსოვის დაეღვამ
დელი ნირ გვალეთ კონები
თავისაცემი ლექსები და მაშინდელ
აუმონისტებ რა-იმ დებისას მიმირობი” უთავთ ძეგ-
ლის აღმართეთ უქავნო, ცირქას ემინიბის ხიმბოლოდ
დაუხერხეთ:

„თავმოქმედი ხარ და ჩვენი თავის გვარი,
ზედ ხვდის ყურზე გამოქიმულ ხარ!
ამოღოღ ჩამჟოლითან ურცხვათ ხმას გვიყრა:
მოყლო გორისა ემბლემა მე ვარ!”

ზატალია აზიანი რეალისტი მწერალი. იგი XIX საუ-
კუნის ქართული მწერლობის რეალისტური სკოლის მი-
მღევარი, „ცირემლიანი ხიცილი”, რომელსაც იღოდა
ჩვენი ხაზოგადობის განკურნების უპირველეს საშუა-

მოგონებები

უნინდელი გორი



— დაილოცა ისევ ჩვენი გორი!-იტყოდნენ ხოლმე თბილისიდან დაბრუნებული გორელები-მხოლოდ გორში თუ იგემებ პირის პატივსა. მამა უცხონდებათ ქალა-ქელებსა! (თბილისს გორელები „ქალაქათ“ იხსენიებ-დნენ, თითქო გორი კი ქალაქი არ იყო! „ქალაქში ვი-ყავ“, „ქალაქს ვიყიდე“, „ქალაქიდან მომივიდა“ და სხვა... ჩვენისთანა ჩასუქებულ ქარვა-დედლებს და ინ-დოურებს მოგართმევენ, მე შენ გითხრა! ან ამისთანა ღვიძლივით პურსა! (განთქმული მახობელა ლურჯი პური გორის მაზრისა.) ცოცხალ-ცოცხალ ციმორ-ჭანარზე („ციმორი“—ულვაშებიანი მეტად გემრიელი თევზი, რომელსაც თბილისში „მურნას“ ეძახდნენ.) ხომ აღარ ვიტყვი!

— შენ ატენური და ხიდისთავური ღვიწო და ატა-მი—თქვი!-ბანს აძლევდა მოსაუბრე, მეორე გორელი. მართლაც და, ასეთი გასტრონომიული პატრიოტიზმი უსაფუძვლო არ იყო: გადაჭარბებულად არ ჩემეთვალ-ოს, მაგრამ იშვიათათ თუ სადმე მოიძებნებოდა იმის-თანა გემრიელი სანოვაგე როგორც გორში!

ეს არც გასაკვირველია: ყველას-(უბრალო ხელოსან- „მეშჩანებსაც კი, რომელნიც 13,000 გორის მოსახლეო-ბის ნახევარს მაინც შეადგენდნენ) თავ-თავიანთ კარ-მი დამოზე ბალჩა-ბოსტანი ჰქონდათ, სადაც შინაურ ფრი-ნველს და ოთხ-ფეხ საქონელს ზრდიდნენ. კვირაში ერ-

თხელ-ორჯერ თავიანთ თონეში აცხობდნენ განთქმულ
ქართლურ ლურჯ პურს, რომელსაც თბილისში და
სხვაგან „ხიზილალა-პურს“ ეძახდნენ, და ანყობდნენ
კიდობანში. ეს კიდობანი კვირის-კვირობამდე მშვენივ-
რათ, რბილათ ინახავდა პურს. თონეში ჩაცვინული
პურით, („კუტს“) ეძახდნენ, ჰკვებავდნენ საქონელს.

თუმცა ყოველ დილა-საღამოთ მებულქე ჩამოივლიდა
ხოლმე ქუჩებზე ყვირილით: „სვეუ...ი, გორია...აჩი ბუ-
ლკი“, მაგრამ მეტი წილი გორელებისა ახლოსაც არ
იკარებდა მას რადგან ბულქს მხოლოდ ავათმყოფების-
თვის ყიდულობდნენ. ამ ნიადაგზე ბევრი სასაცილო
რეპლიკებიც გამიგნია, მეტადრე მოხუცებულ დიასახ-
ლისებისაგან, რომელნიც ხელის ქნევით აგდებდნენ
ეზოში შემოსულ მებულქეს: „გასწი, გასწი! ოთხივ კუ-
თხივ ჯვარი გვეწეროს! საბულქე რა გვჭირს, ქა?!”
გორის ბაზარიც, რომელსაც „სასწორს“ ეძახდნ-
ენ—(ალბათ იმ უმველებელი სასწორის გამო, რომელიც
ბაზრის თავში იდგა)—სდულდა და გადმოდიოდა ათას-
ნაირ ხილით და სანვაგით, ოს და ქართველ გლე-
ხების მიერ ჩამოტანილი ახლო-მახლო სოფლებიდან.
ოსებს მოჰქონდათ: ყველი, ერბო, მალინა თხილი... (აქ
უნდა მოგახსენოთ, რომ გორის მაზრის ოსები
სრულებითაც ისე არ ლაპარაკობდნენ, როგორც პ. გა-
მსახურდია გვარნმუნებდა, მათ ყაზბეგურ მთიულებ-
თან არავითარი საერთო არა ჰქონდათრა: არც ზნე-

ჩვეულებით, არც ენით.) რახან საჭმელზე ჩამოვარდა ლაპარაკი, აქვე არ შემიძლიან არ გავიხსენიო გორული თევზი „ლურჯა“, „ოჩხი“, „ჭანარი“, „ციმორი“, რომელიც უხვად იშოვებოდა მტკვარში და ლიახვში და რომელსაც ყოველთვინ ცოცხალს ჰყიდდნენ გორელი მეწვრილმანეები იქვე, მტკვრის პირის ახლო. არა თუ მარტო ამგვარი თევზი, არამედ თვით თევზების მეფე ორაგულიც კი მოიძებნებოდა ჩვენ დალოცვილ პატარა ქალაქში. (არ იშოვებოდა მხოლოდ: გვიმრი, ბრონეული და ლელვი, როგორც ეხლა ზოგიერთი მწერლები სწერენ. ძალიან იშვიათათ, რომ ვისიმე ბაღში ან ნუში გენახათ. მე თვითონ რამდენჯერ ვცადე, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ხილი მომეყვანა ჩვენ ბაღში, მაგრამ ჰავას სიგრილეს გამო არ იხეირა.)

კარგათ მახსოვს შემდეგი სურათი: სასეირნო ბაღში, ხიდისყურთან, ვიჯექ სკამზე და გორიჯვრის მთა-ტაძარს და მოდუდუნე მტკვარს გადავცეკეროდი. უცბათ რაღაცამ. გაიფრთხიალა ჰაერში და უშველებელ არსებას თხლაში გასძვრა იქვე, ბაღში, ჩემს შორი-ახლოს. აქვე მოთამაშე ბავშვებმა ატეხეს საშინელი ურიამული. მე ცნობისმოყვარეობით წავდგი რამდენიმე ნაბიჯი წინ და დავინახე: მტკვრის ტალღას ბაღის ნაპირას უშველებელი ცოცხალი ორაგული გადმოესროლა. ბავშვები ზედ შესხდომოდნენ და ძლივს იმაგრებდნენ, თან საშინლათ გაჰკიოდნენ და იქვე ახლო მობინადრე მშობ-

ლებს იხმობდნენ საშველათ. ესენიც გამოექანნენ შვილებთან... აუტყდათ ერთი აურ-ზაური თევზის გაყოფაში, მერე, როგორც იქნა, მორიგდნენ და იქვე გირვანქობით გაყიდეს.

საშინელი სიიაფეც იყო: თითქმის ყველაფერი მწვანილის ფასათ იყიდებოდა და იმიტომაც გორი ყველა პენსიონერთა თავშესაფრათ ითვლებოდა. აქ სამუდამო საცხოვრებლათ ბრუნდებოდნენ არა მარტო „ატსტაცებაში“ გამოსული გორელები,—ბევრი სხვებიც, იაფიცხოვრების მაძიებელნი. სიიაფის გარდა, გორში იზიდავდა ქართლის დედაქალაქის, თბილისის სიახლოეც და აგრეთვე ჰაერი—(თუმცა ძალიან ქარიანი, მეტადრეზაფხულობით)—და მშვენიერი ბუნებაც, თვალთნარმტაცი მიდამოები: გორის გულში პირმშო შვილივით დარაჯათ ამართული ისტორიული მნიშვნელობის ციხე, რომლის სანახავათ ყოველ მხრიდან მოდიოდნენ ათასნაირი ცრუ და ნამდვილი გამომკვლეველები ძველისძველი ნაშთებისა, ასევე ითქმის თავის კლდოვან კატაკომბებით განთქმულ „უფლისციხეზე“, „გორი-ჯვარი“-ციცაბკლდე-მთაზე ამართული მთელი ქართლის სამლოცველო, მის მუხლებ ქვეშ გადაწოლილი ამწვანებული და ტყეებით შეკრული „გორისა“, სადაც გორი-ჯვარში მლოცველები ჩამოდიოდნენ დასასვენებლათ და ნადიმის გასაწევათ- (ბევრჯერ დუდუკ-საზანდარითაც), (გორიჯვარში-გორისაზე“ და სხვა სამლოცველოებზე,

აგრეთვე გორის სხვა ლამაზ და ღირსშესანიშნავი მემკვიდრეობის მოებზე ვეცდები შემდეგ მოგახსენოთ უფრო დაწვრილებით) ატენის ხეობა თავის დაბურული ტყეებით და კლდე-ღრეებით რომელზედაც ცელქი ბავშვებივით ერთმანეთს ახტებოდნენ მდინარე „ტანას“ ჩანჩქერები-პირდაპირ ფინეთის „იმატრას“ მოგაგონებდათ.

მე რომ 1907 წ. სტუდენტთა ექსკურსიით პეტერბურგიდან ფინეთში გავემგზავრე და პირველად ვნახე „იმატრა“, ამ წყალვარდნილმა სრულებითაც ისეთი მძლავრი შთაბეჭდილება არ მოახდინა ჩემზე, როგორც რუსის მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

- Неправда-ли, замечательно? - მეკითხებოდნენ ისინი.

- Для меня это не ново- ვუპასუხე მე -Вы должны видеть наше Атэнское ущелье, чтоб понять мои слова.

ამ ატენის ხეობაში ვიღაც ზეზემანს ხე-ტყის დასამზადებელი ქარხანა ჰქონდა.

„უფლისციის“ სანახავათ ხომ იტალიის ტახტის მემკვიდრეც კი — (ემმანუილ თუ გუბილე) ეხლა აღარ მახსოვს მისი სახელი: მე მაშინ 12 წლისა ვიყავ) — მოვიდა გორში, მაშინდელ გუბერნატორ გიორგი შერვაშიძეს თანხლებით. მახსოვს მხოლოდ ერთი კურიოზი, რომელიც მაშინ დაემართა ერთ გორელ მიკი-

ტანს და რომელიც მთელ გორში კარგა ხანს სიცილი ხარხარს იწვევდა.

ეს მიკიტანი, აქათ და იტალიის მეფისშვილი მოდის გორშიო, კინტოურ ახალ ტანისამოსში გამოწყობილიყო: ჩექმებში ჩაკუცილი განიერი შარვალი, ჩოხა-ახალუხი, ყელზე წითელი ხელსახოცი, თავზე ბუხრისქუდი და ნელზე—ხუთითი თითამს სიპრტყე ოქროში დაფერილი ვერცხლის ქამარი, მუშტისოდენა კოჭოუებით. ამ ქამარს იტალიის ტახტის მემკვიდრემ თვალი მოჰკრა, ეტლი შეაყენებინა, დააძახებინა მიკიტანი და თარჯიმანის საშუალებით ჰკითხა: „რა ღირს შენი ქამარი, როგორ იყიდე იგიო“? ამანაც, გონება დამფროთხალმა, გულახდილათ ნამდვილი ფასი „უთხრა“ რვა თუმანი მივეციო. არც აცივეს არც, არც აცხელეს, რვა თუმანი გადუთვალეს, შეასხნევინეს ქამარი, გამოართვეს და „უფლის—ციხის“ გზას გაუდგნენ. მიკიტანი დარჩა პირლია, გონს ვერ მოსულიყო და, როცა მოვიდა, თავპირში ნაიშინა და თითქმის მოთქმით ტიროდა: „მე, ოხერტიალმა, რატო სამოცი თუმანი არ დავუფასე?!—ტახტის მემკვიდრე ხომ „ჩინჩს“ არ დამიწყებდა და მომცემდა! მე რა ვიცოდი, თუ საყიდლათ უნდოდა! აი, დაგიდგა თვალი, გეურქ!“

აქვე უნდა მოგახსენოთ კიდევ ერთი კურიოზი „უფლის—ციხის“ შესახებ: რამდენათაც მახსოვს, მთელი ამ სოფლის მოსახლეობა სომხები იყვნენ, გარშემო კი,

სხვა სოფლებში—ქართველები. არა ერთხელ მიკრთხავს, ქართველებისთვის: რატომ გამოლაგებულხართ „უფლის-ციხიდან?“ და ყოველთვინ ასეთი პასუხი მიმიღია: „რა ვიცი, შენი ჭირიმე, ხატი არ გვაყენებს“... ალბათ სხვა რამე მიზეზი იყო თორე სომეხ-ქართველ გლეხებს ერთმანეთში მჭიდრო კავშირი ჰქონდათ: ნათესაობა, ნათელ-მირონობა და დღესაც ვერ გამიგია, რატომ „უფლის-ციხეში“ მარტო სომხები ცხოვრობდნენ.

თვით გორის მოსახლეობაც, რამდენათაც მახსოვს, მეტი წილი სომხობა იყო. პროფესორ ხახანაშვილისა-გან გამიგონია, რომ გორელი სომხები დავით ალმაშენებელმა გადმოასახლა სპარსეთიდან საქართველოში ვაჭრობის ასაღორძინებლათო.

არც გორელ სომხებმა და არც „უფლის ციხის“ გლეხეაცობამ აღარ იცოდნენ თავისი ენა. ყველანი მშვენივრათ ლაპარაკობდნენ ქართულათ და ადათ-ჩვეულებაც ქართული ჰქონდათ.

საღდარშიაც კი მღვდელი (ტერტერა) ქართულ ენაზე ქადაგობდა, წირვა-ლოცვა კი სომხურათ, მაგრამ მრევლი რამდენათაც გულდასმით ისმენდა ქადაგობას, (მეტადრე თავის მჭერ-მეტყველებით განთქმულ ტერსტეფანასი, რომლის მოსახმენათ ქართველებიც მოდიოდნენ სომხის საღდარში),— იმდენათ ყურადღებას არ აქცევდა წირვა-ლოცვას და სულ სხვა-საგანზე ლაპარაკობდა ხმა დაბლა.

ქალები (ერთმანეთს-ჩურჩულით) „წუხელი რა ჟენი, კატო, წააგე თუ მოიგე „ლოტოში?“

კაცები (აგრეთვე ხმადაბლა) „ხორბლის მაზანდაშ აინია: რა სისულელე მომივიდა, რომ არ დაუცადე და ისე ადრე გავყიდე თავთუხი-პური!“ თან, სვინდისის მოსაწმენდათ, ორთავე სქესი გაქანებული პირჯვარს იწერდნენ. საღდარში კაცები ნინ იდგნენ ქალები უკან, სულ ბოლოში კი-მოხუცებული მანდილოსნები. უკანასკნელთა შორის, როგორც ბავშვობიდან მახსოვს, ზოგნი თეთრი „ჩადრებით“ იყვნენ:-თავით ფეხამდინ წამოსხმული პქონდათ ზენრის მაგვარი სამოსელი მარტო თვალებიდა უჩანდათ. ამნაირ „ჩადრებს“ ქართველი მოხუცებული მანდილოსნებიც ხმარობდნენ.

ქალები, მეტადრე მოხუცებულები, დიდმარხვას წმინდათ ინახავდნენ და შვიდი კვირის განმავლობაში ხორცს, რძეს, ერბოს და სხვა სახსნილოს პირს არ აკარებდნენ. ავათაც რო გამხდარიყვნენ, ნამდვილ რძის მაგივრად ნუშის რძეს ხმარობდნენ. სამზარეულოს ჭერში ჩამოკიდული პქონდათ დიდთავიანი ხახვი, რომელსაც ირგვლივ შვიდი ფრთა (ბატისა ან ინდოურისა) პქონდა ჩარჭობილი. რამდენიც დიდმარხვის კვირა გავიდოდა, იმდენი თითო ფრთას გამოაცლიდნენ ამ ხახვს უკანასკნელი ფრთა რო დარჩებოდა-შეუდგებოდნენ სააღდგომო სამზადისს: სცრიდნენ სანაზუქე

ფქვილს, ასუქებდნენ ბატყანს, ღებავდნენ კვერცხებს და სხვა... ყველაზე ძლიერ უხაროდათ ბავშვებს...

გორის სომხობა მეტნილად ვაჭრობით, მევახშეობით და „ფოდრათებით“ იყო გამდიდრებული. ამ გზით შეძლება მოეპოვათ ზოგიერთა გამდიდრებულ ქართველ გლეხკაცსაც (მოურავათ ნამყოფ რომელიმე შეძლებულ თავადთან ან სამიკიტნოს პატრონთ). თუმცა სხვილ ბურუჟათ არ ჩაითვლებოდნენ, მაგრამ ყველა ამათ, დუქან-მაღაზიებს და სახლების გარდა, მშვენიერი ზვრებიც ჰქონდათ შეძენილი იქვე, გორთან ახლო, -(2-3 ვერსტის მანძილზე)-სოფელ „ხიდისთავში“, რომელიც მთლათ ვაზისა და განთქმული ატმის სამეფო იყო. სხვა გვარი ხილიც აქ აუარება იყო.

მეტი წილი სახლები გორში ერთ ან ორ სართულიანი იყო. ქვემოთ-უთუოთ მარანი, მოშორებით ბოსელი, სათონე... სახლის უკან-ბაღჩა, წინ-ფართო ბაკი (ეზო), სადაც თითქმის ყველას ჭა ჰქონდათ: სხვა წყალს არა ხმარობდნენ, რადგან მაშინ წყალსადენი გორს არ ჰქონდა. ფეხსალაგიც პირველ-ყოფილ მდგომარეობაში გახლდათ და სოფელს მოგაგონებდათ. კანალიზაციას, მგონი, ეხლა აკეთებენ თუ უკვე გააკეთეს კიდეც.

გორის ქართველობა მეტნილად მოხელენი იყვნენ, ან ახლო-მახლო სოფლებიდან ზამთრობით გადმოსახლებულნი თავად-აზნაურები რომელთაც არც გორთან გაეწყვიტათ კავშირი, არც სოფელთან. მიუხედავათ ეკო-



ნომიურ ქიშპობისა, გორის სომხობასა და ქართველობას შუა დიდი ერთობა იყო. შუღლი და აურზაური მათ შორის დაახლოვებით 1905 წ. დაიწყო ახლად გამოჩეკილ პარტიების-დაშნაკელების და ზოგიერთ აპილპილებულ ქართველ შოვინისტების წყალობით, თორე მანამდე უნინდელ გორის სომეხ-ქართველობაში არა "თუ მეგობრული, ნათესავური და ნათელ-მირონული კავშირიც იყო. თვით ჩემი ორთავ დეიდები ქართველ თავადიშვილებს (ჯავახიშვილებს) ჰყავდათ ცოლათ და საუკეთესო, უტკბესი დრო ბავშვობისა იმათ სოფელ „ხოვლეში“ (ამ სოფელში ცხოვრობდა პროფ. ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც მე ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ის ჩემზე ორი წლით დიდი იყო და ყოველთვინ სხვა და სხვა წიგნებს გვიკითხავდა.) გამიტარებია, სადაც სიხარულით მივიღტვოდი ყოველ ზაფხულს. ჩემი უფროსი ძმა, პეტრე ქართველ თავადიშვილმა კოტე ამილახვარმა (კოტე ამილახვარი და მისი ძმისნული გიორგი მეტად საინტერესო ტიპები იყვნენ და იმათზე ღირს უფრო ვრცლად მოვილაპარაკოთ შემდეგ) მონათლა.

როგორც ზემოთ გაკვრით მოგახსენეთ, უნინდელ გორში 13,000 მცხოვრები იყო. გორი იყოფოდა სხვა და სხვა უბნებათ: „გარეთ-უბანი“, „ციხის უბანი“, „რუსის უბანი“, „ნმინდა წყლის უბანი“ (რამდენათაც მახსოვს, სწორეთ ამ „ნმინდა წყლის უბანში“ ჩამო-

აღრჩეს ტატე-ყაჩაღი და მისი ამხანაგი სანდოლური ლური. მე მაშინ 12-13 წლისა ვიყავ და დავესანარ მათ ჩამოლრჩობას. დაწვრილებით გიამბობთ ქვემოთ.) და სხვა... აქ ხელ-მოკლე ხალხი ცხოვრობდა. უფრო შეძლებული კი-იმ ქუჩაზე და მის მიდამოებ ახლო რომელსაც ეხლა ლენინის ქუჩა ჰქვიან. ძველის-ძველათ ამ ქუჩას „ახალ პოსელენიას“ ეძახდნენ-(მერე და-ერქვა—„ცარსკაია“ და შემდეგ მენევიკების დროს,— „ერთობის“ ქუჩა). საუკეთესო სახლები და მაღაზიები სწორეთ ამ ქუჩაზე იყო გამოჭიმული. მის უკან რომ ქუჩა მიდის—„ძველ პოსელენიას“ ეძახდნენ. რამ-დენათაც მახსოვს „პოსელენია“ იმიტომ დაურქმევიათ, რომ აქ თურმე რუსეთიდან გადმოსახლებული რუსი ინვალიდები ცხოვრობდნენ.;

ამ ძველ „პოსელენიაში“ ჩემ ბავშვობის დროს აბანო იყო, მერე, არ ვიცი რა მიზეზით, ამოქოლეს და გორელები, უაბანოთ დარჩენილნი, შინ ინკუმპლებოდნენ ჭის წყალით, თუმცა კი გორიჯვრის ძირში მაშინ უკვე ამოჩენილ იყო გოგირდის წყალი. ეხლა იქაც და შიგ გორშიც აშენებულია საბჭოთა მთავრობის მიერ მშვენიერი აბანოები.

ქუჩები ღამ-ღამობით განათებული იყო ოდნავ მბჟუ-ტავ ფარნებით-(ელექტრონი, ისიც უძალო და ფიტაგა-მოლეული, სულ ბოლოს შემოიღეს ხელმწიფის დროს)—და ქუჩებში ქვაფენილი ისე დათხრილი იყო,

რომ დღისითაც კი კისერს მოიჩებდით, ღამ-ღამეობით და ისიც თოვლ-ჭყაპში ხომ უფარნოთ ვერ გაივლი-დით, მეტადრე ყრუ ქუჩებში. ერთ-ერთ ქუჩა-ზე, — სახელათ „სობოროს ქუჩა“ — იდგა ძველის-ძველი ყაიდის სახლი. თუ მის პატრონებს დავუჯერებთ, ეს სახლი ისტორიულ მნიშვნელობას არ იყო მოკლებული. სახლი ეკუთვნოდა ორ გასათხოვარ დაბერებულ დას და მათ უცოლშვილო ხანშიშესულ ძმას, გვარათ ხითაროვებს- (ტომით სომხებს) ისინი ირწმუნებოდნენ და ბევრი მოხუცებული გორელებიც უმონმებდნენ, რომ მათ სახლში არა ერთხელ ჩამომხტარა თვით მეფე ერეკლე, რომელიც ვითომდა წინდაწინვე მოსწერდა ხოლმე მათ პაპას: „ჩემო ხითარაშვილო, ამა და ამ დღეს მოვდივარ შენთან და დამიმზადე ამდენ-ამდენი ოქრო“. თანაც ირწმუნებოდნენ, რომ ხითარაანთ ამის სიგელი აქვთ და ამ სიგელზე თარიღის აღსანიშნავი ქართული ასოები ჩ.ყ.პ.ჭ. აწერიან.

მე მაშინ ბავშვი ვიყავ და არ ვიცი, რამდენათ მართალია ეს ტრაბახი. გორელებს მაინც „მატრაბაზს“ ეძახდნენ თბილისში. ეს ძველებური სახლი უშველებელ ჭის ანუ ალაყაფის კარზე იყო აგებული. აქედან შედიოდით ეზოში, სადაც კიდევ ძველისძველი სახლები იყო ამართული, ამ სახლებშიაც ხითარაანთ საგვარეულო ცხოვრობდა. ჭის კარის გვერძე მეორე პატარა შესავალი, ქვის ჭიბით დაგებული აგიყვანდათ გარეთა

(ფასადის) სახლში, რომელსაც წეროსეებ ჭრიშელუი აივანი (ძველებურ სურათებით) ჰქონდა. მაგრამ ამ აივანს არა სჯერდებოდნენ მათი პატრონები (ორი გასათხოვარი დაბერებული დები) და მუდამ ქუჩაში ისხდნენ, ჭისკარის ნიშებში და მოცლილ მეზობლებთან მუსაიფობდნენ, ან გამლელ-გამომვლელთ სჭორავდნენ. კიდეც იმიტომ გორელები ამ აღაგს „ჭორის ბუდეს“ ეძახდნენ. მართლაც და გორი, როგორც საზოგადოთ ყველა პროვინციალური პატარა ქალაქი, ძალიან დასევადებული იყო ამ სენით: ვინ რა ჭამა დღეს, რა იყიდა ბაზარში, ვინ სად წავიდა, მოვიდა...—საღამოზე ყველამ იცოდა, ჭორი და „ლოტო“—აი მაშინდელ დიასახლისების გასართობი. კაცები კი კლუბში, რომელიც მოთავსებული იყო საუკეთესო ქუჩაზე „პროფერანსში“ და „ვინტში: იქცევდნენ თავს. მე აქ, რასაკვირველია, ვლაპარაკობ შეძლებულ კლას-სებზე: თავად-აზანაურებზე, წვრილ ბურუუაზიაზე — (მსხვილი ბურუუაზია, ისე როგორც ნამდვილი პროლეტარიატი მაშინ გორში თითქმის არ არსებობდა) — მოხელეებზე... მდაბიო, ხელ-მოკლე ხალხი კი, — მეტნილად ხარაზები და სხვა ხელოსნები—დღიურ მუშაობით დაღალულ-დაქანცულნი, ან ქათმებივით ადრე იძინებდნენ, ან ღვინოში იღრჩობდნენ თავს. მაშინ გორში „კინო“-ს ხსენებაც არ იყო. სამაგიეროთ აუარება სამიკიტნოები იყო. ეს ხალხი გამოცოცხლდა

მხოლოდ 1904-1905 წლიდან და, უნდა გენაზათ, რა სიხარულით და აღტაცებით მიიღებოდნენ ისინი მიტინგებზე, რომელიც თითქმის ყოველ დღე იმართებოდა გორში პირველი რევოლუციის დროს. ეს ხანა გორისა ისე საინტერესოა, რომ ამაზე ცალკე მოგიყვებით უფრო ვრცლათ.

გორი მკვდრეთით ადგებოდა ხოლმე უფრო ზაფხულობით, როცა აქაური მოსწავლე ახალგაზრდობა-სტუდენტები და გიმნაზიელები-სამი-ოთხი თვით ბრუნდებოდა სახლში. ეს ახალგაზრდობა, მეტნილად აღჭურვილი გამამთავისუფლებელი იდეიებით და ხალხის სიყვარულით, წარმოდგენას წარმოდგენაზე დგავდნენ —(თამაშობდნენ ასეთ კლასიკურ პიესებსაც კი, როგორც „ყაჩალები“ შილლერისა)—აწყობდნენ ექსკურსიებს და, ასე გასინჯეთ, ხელთნაწერ გაზეთებსაც კი უშვებდნენ, სადაც მასხარათ იგდებდნენ სხვა და სხვა ოფიციალურ პირებს, მეტადრე პოლიციელებს.

თუმცა გორში კარგა ბლომა სასწავლებლები და, მაშასადამე ინტელიგენტური ძალაც იყო—(აღარ ვიტყვი სტუდენტობაზე და სხვა განათლებულ კერძო პირებზე თავად-აზნაურობის წრიდან, რომელიც აქა-იქ სოფ-ლებში და თვით გორშიც ბუდობდნენ, მათ შორის ბევრი ხალხოსნებიც-მთელ ამოდენა მაზრაში, არა თუ მაზრაში, -მთელ ქართლში, გარდა თბილისისა, ერთი გაზეთი და სამუდამო თეატრი არ იყო!

ზამთრობით და ზაფხულობით ხშირათ იმართებოდა რუსულ-ქართული წარმოდგენები მოყვარეთა წრის მიერ. რუსული მოყვარეთა წრე შესდგებოდა აქ მდგომ სხვა და სხვა პოლკების აფიცრობის ოჯახობიდან, ქართული კი — ქართველ მასწავლებელ, მოხელეებისგან და მათ ოჯახობიდან. ქართველ მოყვარეთა მსახიობებში სჭარბოდნენ კაცები, ქალები უფრო ძნელი საშოვარი იყო სცენისთვის, რადგან უნინდელ გორში სათაკილოთ მიაჩნდათ ქალის სცენაზე გამოსვლა.

ქართველ მოყვარეთა წრეში მშვენივრათ თამაშობდნენ მეტადრე ნიკო ლომოურის მეუღლე, სოფიო ალექსეის ასული და სიკო კანდელაკი (პროფესიით-სასამართლოს მოხელე), ხანდახან თბილისადანაც ჩამოდიოდნენ გორში საგასტროლოთ ქართული თეატრის ბუმბერაზი არტისტები: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩარქეზიშვილი, რომელთაც გორელები აღტაცებით ხვდებოდნენ და ვახშამ-სადილებს უმართავდნენ. გარდა ამისა, აქაურ ზამთრის კლუბში ხშირათ იმართებოდა „ბალ-ვეჩერები“, მასკარადები, „იოლკა“..., სადაც ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი (უკანასკნელთა შორის მეტი წილი აფიცრობა) ერთმანეთსა ხვდებოდნენ და ეს გართობები ბევრჯერ ქორწინებითაც თავდებოდა, - მეტადრე თუ გასათხოვარ ქალს ხუთასი თუმანი მაინც ჰქონდა მზითვათ! (მინამ ამ თანხას არ შეიტანდა ახალგაზრდა აფიცერი თავდებათ, ცოლის შერთვის

ნებას არ აძლევდნენ). ყველიერში იმართებოდა ხოლმეტი ყეინობა და კრივი, რომელიც ვრცლათ არის ანერილი დ.სულიაშვილის მოგონებანში „ძველი გორი“ და მე აქ აღარ გავაჭიანურებ ამაზე ლაპარაკს. ვიტყვი მხოლოდ, რომ საუკეთესო მოქრივეთ მაშინ ითვლებოდა კიკა ეგნატაშვილი. ორი მოპირდაპირე-„ზევითა და ქვევით უბანი“-ისე თავგამოდებით აქეზებდნენ თავიანთ მოკრივებს ერთმანეთზე, ისეთი გულისფანცქალით მოელოდნენ, რომლის მოქრივე გაიმარჯვებს, -გეგონება დღევანდელი გერმანია და ინგლისი იბრძვიან თავიანთ ბედ-ილბალზეო. კრივი გრძელდებოდა მთელი დღე, რომლის განმავლობაში ახალ-ახალი მოკრივენი გამოჰყავდათ. საღამოზე გამარჯვებული უბნის მცხოვრებნი ისე ამაყათ და მედიდურათ გამოიყურებოდნენ და კვესულობდნენ — „ჩვენ მოვიგეთო“, როგორც ნაპოლეონი-აუსტერლიცის ბრძოლის შემდეგ, წაგებული უბნის მცხოვრებნი კი თავჩაქინდრულნი დადიოდნენ.

ყველიერში კიდევ ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონდათ გორელებს: გასათხოვარ ქალს დედები, დიდათ დაინტერესებულნი, როდის და ან როგორი ქმრები შესვდებათ მათ ქალებს უკანასკნელათ აჭმევდნენ „მარილ-კვერს“, რომელიც ასე ცხვებოდა: ერთი სათითე ფქვილი და ორი, ან სამი სათითე მარილი, ცოტაოდენ წყალით აზელილი, იქვე, ბუხრის ნაღვერდალში პანაწკინა კვერათ აიბრანებოდა. ამ კვერს გასათხოვარი ქა-

ლი სჭამდა დაწოლის დროს და, რაც უნდა მოსწერალი მოსწყურვოდა დაძინებამდე, უნდა მოეთმინა, რომ თავის საბედო ენახა სიზმარში. რასაკვირველია, რომ ამისთანა მლაშე კვერის მჭამელთ მოესიზმრებოდათ, რომ ვინმე მათ წყალს ალევინებს, აი ეს წყალის მომნოდი, მათი აზრით, იყო მომავალი საქმრო. ზოგი თხა და მგელსაც ხედავდა სიზმარში, მაგრამ თავმოყვარეობის გამო არ გამოტყდებოდა და ამბობდა, რომ მშვენიერი და მდიდრათ ჩაცმული ვაჟი ნახა.

ახალნლობით და აღდგომის დღეს შეძლებულ და საშუალო ოჯახებში მოსალოცად მოდიოდნენ როგორც ნათესავ-მეგობრები და ნაცნობები, ისე წვრილ-ფეხა რუსის ჩინოვნიკობაც („სუდში“ ან პოლიციაში მსახურნი), რომელთაც კარგათ გამოაძლობ-გამოათრობდნენ და ორ-სამ მანათითაც დაასაჩუქრებდნენ ხოლმე. მოდიოდნენ მოსალოცათ ხროვა-ხროვა რუსის სალდათებიც: შემოსდგავდნენ ფეხს თუ არა, ჯიბიდან მუჭებით ქერსა და პურს ამოიღებდნენ და გადააყრიდნენ მასპინძლებს, ამათაც თითო „რუმკა“ არაყს გადააკვრევინებდნენ და ერთ-ორ აბაზს აჩუქებდნენ ხოლმე.

გორში იყო შემდეგი სასწავლებლები: ქალების პროგიმნაზია, (სადაც მეც ვსწავლობდი, სანამ თბილისის „წმინდა ნინოს სასწავლებელში“ გადმომიყვანდნენ), სამაზრო სასწავლებელი, სასულიერო სასწავლებელი, სემინარია, „თათრების“ სემინარია (როგორც გორში იძა-

ხდნენ) და ზრუშების კერძო პანსიონი, რომელიც ისე ძვლის-ძველი პანსიონი იყო, რომ იქ ჩემ ბეგიასაც კი უსწავლია, მგონი ყველა ზემოთ ხამოთვლილი სკოლების დირექტორათ იყო სტრელეცი, რომელსაც ქართველი ქალი ჰყავდა ცოლათ - ძალიან ლამაზი. თვითონაც არა უჭირდარა გარევნობით, მაგრამ რაღაც ნერვიული ავადმყოფობა ჰქონდა და სულ თავს აცანცარებდა. ბევრჯერ ხელსაც მიიშველიებდა ხოლმე, რომ თავი დაემაგრებინა. პირველათ რომ მასთან გაკვეთილი მკითხეს, სულმთლად დავიბენ: გაკვეტილი მშვენივრათ ვიცოდი, "ნაჩალნიცა"-ს კმაყოფილების ღიმილიც დავიძისახურე, მაგრამ დირექტორის თავის ცანცარი დაიწყო თუ არა, შევდეგ ხეპრე ხარივითა - მე მეგონა: სწორე არ ვამბობ რაღაც შემეშალა მეოქი... მაგრავა და ურთისობა აუ

„И дым отечества

Нам сладок и приятен!“

ერთი კვირაა გორში ვარ... ო, ოპ, რომ იცოდე, რა სიამოვნებას ვგრძებობ დიდი ხნის უნახავ საყვარელ დედის—ჩვენი სამშობლო გორის გულზე! ჯერ თბილისიდანვე, გზაში, მატარებელში, ისეთი მოუთმენლათ მოვილტვოდი აქეთკენ, ასევე გეგონებოდა—თორმეტი წლის ბავშვი, დათხოვნილი კანიკულებში, მოქმურებოდა სამშობლო კერისკენ. გზა და გზა სურაველ ერისთავის მშვენიერ ლექსებს ვდუღუნებდი: "სადაც ვშობილვარ გავზრდილვარ"... დავინახე თუ არა გორის ციხე, თვალებზე ცრემლი მომადგა... ისე ამიტოკდა გული, ისეთი ზღვა გრძნობები და ტებილი მოგონებები ამეშალა, თითქო პირველ სიყვარულს, ახალგაზრდობის გატაცება-ოცნებას შევხვდი ამ სიბერის დროს. შეც არ ვიცოდი, რომ სკეპტიციზმთან ერთად ლირიზმის და სენტიმენტალობის მაღანიც ყოფილა ჩემში.

გადმოვედ თუ არა მატარებლიდან, პირდაპირ გაოცებათ ვიქეც! ბიჭოს! ჩვენ მინგრეულ-მონგრეულ გორს—(მე და შენ ხომ მიწის ძვრის შემდეგ აღარ ვგინახავს იგი)—ვინ მისცა ეს მშვენიერი სადგური, თავის კაფე-რესტორნით, სადაც ბუზებიგით ირევა ათ ს მხრიდან მოსული ხალხი—(შემდევ როგორც გავიგვე, სტალინის სახლის სანახავათ).

ჩვენ დროში, ხომ გახსოვს, რომ ერთი სტუმარიც ვერ ბოგინობდა და ტყაპა-ტყუპით კოტრდებოდნენ მისი პატრონები უსტუმრობის გამო. ახლა კი ორ-ორი მშვენიერი სასტუმრო შეუძენია ჩვენ დედა-გორს და იმაშიაც ვერ ეტევიან მისი მნახველები... და განა მარტო ეს შეუძენია ჩვენ შენარის „თაორების“. სემინარის როგორც გორის იმა

ერთ დროს ღატაკ და დაფლეთილ დედას! აუარება შკოლები, მათ
 რის-უმაღლესიც, რომლის მზგავსი მთელ ამიერკავკასიასაც კი ენატრებ-
 ოდა ერთ დროს... მშვენიერი თეატრი, კინო, ორ-ორი აბანო: ერთი გოგ-
 ირდისა (გორი-გვრას ძირში) და ერთი შუაგულ ქალაქში... (ვახსოვს ჩვ-
 ენ დროში რომ ჭის წყლით ვიწყვმბლებოდით სახლში!) წყალსადენი...
 კანალიზაციასაც აპირებენ ვაკეთების... ერთი სიტყვით, ვეღარ ვიცან
 ჩვენი დედა! სказка из тысячи и одной ночи. მეც და შენც ის უკვე
 მკვდარი გვევონა მიწისძვრის შემდეგ, ის კი თურმე მკვდრეთით აღმდგ-
 არა, გაცოცხლებულა, გამოცდილ დოსტაქრის (ქირურგის) საბჭოთა
 მთავრობის წყალობით. იარები მოურჩენია, გალამაზებულ და თანაც
 ვამდიდრებულა! სადღარ იმის დაგლეჭილ-დაფლეთილი ტანისამოსი: სახ-
 ლების ნანგრევები, ოლრო-ჩოლრო ქუჩები (დღისითაც რომ კისერს ვიჩე-
 ხდით და ღამე ზო სუ დიოგენივით ფარნებით დავძვრებოდით). ქოხმა-
 ხებისა და ნანგრევების მაგივრათ, მხიარულათ გამოიყურებიან ერთი ან
 ორსართულიანი პატარ-პატარა სახლები (თავის ბოსტან-ბაღჩებით) და
 პირდაპირ ინგლისურ "კოტტედჯებს" მოგაგონებენ. თვალსაჩინო ქუჩებ-
 ზე ჩვენ დედას განიერ ატლასის სარტყელი-ასფალტი შემოურტყავს,
 გულის პირათ ჩაუკეცავს ფერად-ფერადი ყვავილნარები, სადაც ცელქი
 შადრევნები სიხარულის ცრემლებს ასხურებენ კოქტუ დარაჯ ქანდაკებ-
 ას. შუბლის ქინძისთავთა თავის გამამდიდრებელ და მთელ მსოფლიოში
 სახელგანთქმულ შვილის, დიდებულ სტალინის პავილიონი მუზეუმს გა-
 უკეთებდა და აქ ინახავს სათუთად იმ ქოხს, რომელშიაც დაიბადა ჩვენი
 ბუმბერაზი თანამემამულე. დანარჩენს ნახვის დროს გიამბებ.

აკაკი წერეთლის ხსოვნას¹⁰

აკაკი წერეთლის ნიჭს დიდ პატივსა სცემდნენ და ათაყვანებდნენ არა თუ მარტო ქართველები, არამედ გაქართველებული სომხებიც, რომელნიც ბლომად მოსახლეობდნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში: გორში, სიღნახ-თელავში, ქუთაისში და სხვა...

მეტადრე ჩემს სამშობლო გორში ხომ ისეთი ასიმილიაცია მომხდარიყო, რომ იქაურმა სომხებმა თავისი ენა აღარც კი იცოდა და სუ ქართულათ ლაპარაკობდა. მარტო საყდარში თუ გაიგონებდით სომხურ ენას, ისიც წირვა-ლოცვას, ქადაგებით კი მღვდელი ქართულ ენაზე ქადაგობდა.

მჭერ-მეტყველებით სახელ-განთქმული ტერ-სტეფანა რომ საქადაგოთ გადმოდგებოდა და თავის სიტყვას ხშირათ შოთას უკვდავ ნაწარმოების ციტატებითაც მოქარგავდა, მის მოსასმენათ მოდიოდნენ არა თუ მარტო სოხობა არამედ ქართველობაც!

ხო და, აი ამისთანა სომხებში აკაკის მუზას ისეთივე ღრმა სიყვარული და აღტაცება ჰქონდა მოპოვებული როგორც ქართველებში.

ბავშვობიდანვე მსმენია დედიჩემისგან აკაკის დაუვიწყარი სიმღერები: „იავ-ნანა, ვარდო-ნანა“, „ჩემო თავო, ბედი არ გინერია“, „აღმართ-აღმართ მივდიოდი ნელ-ნელა“, და ბევრი კიდევ სხვა...

აქ არ შემიძლიან ერთი სასაცილო ამბავი არ გიამბორთ? დაიწყებდა თუ არა დედაჩემი მღერას „ჩემო თავი, ბედი არ გინერია“, მეც და ჩემ და-ძმებსაც თვალებზე ცრემლი მოგვადგებოდა და ბოლოს ბლავილსაც ამოუშვებდით ხოლმე როცა შემდეგ სტრიქონებს უსმენდით:

„დამწვარი ვარ ისე, როგორც აძედი!

აჲა, ღმერთო, რა უდროვოთ დავბერდი:

საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!

და ღმერთს ვვედრებ: ღმერთო: მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!“

ჩვენ, გულუბრყვილო ბავშვებმა, რა ვიცოდით, რომ ეს ლექსი აკაკიმ თავის თავზე დაწერა და სატრფოს უძლვნა. ჩვენ არც კი გვესმოდა, რა არის სიტყვა „სატრფო“, ჩვენ გვეგონა, რომ დედა გვიკვდება და იმიტომაც ზედი-ზედ ახსენა სიტყვა „საფლავი“. ვეხვეოდით, ვკორნიდით და ვეფიცებოდით დედა, გენაცვალე, აღარ ვიგიჟებთ, ოლონდ არ მოკვდე, იცოცხელე... ძლივს დაგვაჩუმებდა ხოლმე დედა ტრილისაგან, მაგრამ ამ ლექსის ფსიჩიურ ზეგავლენით ისარგებლა დედაჩემა და, რამდენიც დებსა და ძმებს ჩხუბი მოგვივიდოდა, ან ვიცელქებდით, იმნავ ზემოთ მოყვანილ მწარე ლექსებს იმღერდა... ჩვენ ფიცხლავ ჩავჩუმდებოდით ხოლმე და ერთი-ორი საათით მაინც ისვენებდა საბრალო დედაჩვენი... ბავშვობისას არაფრათ გვეჭაშნიკებოდა ეს ლექსი. მხოლოდ როცა ნამოვიზარდეთ, მაშინ შევიგნეთ მისი მაღალი ღირსება. დედიჩემისგან გამიგონია ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდანაც“, მაგრამ ბუმბერაზ შოთას ძველებურ ენას ისე ადვილათ ვერ ვითვისებდი, როგორც აკაკის ხალხურ ყველასთვის გასაგებ ენას.

აკაკიმ და ილიამ შემაყვრეს ქართული ლიტერატურა. მახსოვს, გორის პროგიმნაზიაში რომ მიმაბარეს, სომეხ მონაფეებს გამოგვიცხადეს: ვისაც გსურთ, ქართულ

გაკვეთილებზედაც შეგიძლიათ იაროთო. მე სტატორულით ჩავეწერი ნიკო ლომაურის გაკვეთილებზე და ერთი-ორი წაკითხვით ვიხსომები აკაკის მიერ მშვენივრათ ნათარგმნ კრილოვის ზღაპრებს. აკაკის ლექსებს გვაზეპირებდა აგრეთვე სიმღერის მასწავლებელი ს.პ.გოგლიჩიძე და, თუმცა არავითარი მუსიკალური სმენა არ გამაჩნდა, მაინც ჩემი ღრიანცელით „მე ჩონგური მისთვის მინდა“ — გამოყრუებული იყო მთელი ჩვენი სახლი. წამოვიზარდე. დავიწყე ჯდაბნა. 22-23 წლისა რო ვიყავ და უკვე ორი ჩემი პიესა „ინჯილერი ან დოხტური“ და „ფული და ხარისხი“ თბილისის ქართულ თეატრში იდგმოდა,—გადმოვსახლდი გორიდან თბილისში. აქ ვცხოვრობდი მხოლოდ ზამთრობით, ზაფხულობით კი ისევ მშობლებთან ვბრუნდებოდი. თბილისში ვიხილე პირველათ „პატარა კახი“ და „თამარ ცბიერი“ და გამიათეუცდა ღრმა სიყვარული და პატივისცემა აკაკისადმი, რომელიც ჯერ თვალითაც არ მენახა და რომლის გაცნობასაც მანანასეებ მოველოდი. მალე ეს ნატვრა ამისრულდა. მე ამ დროს ვცხოვრობდი (მეჭირა ოთახი ჭამა-სმით) ან განსვენებულ საზოგადო მოღვაწე და „ჯეჯილი“-ს რედაქტორ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის ოჯახში, სადაც თოთქმის ყოველ დღე შემოივლიდნენ ხოლმე სხვა და სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენი და მწერლები. კვირაში ერთხელ ხომ „ჯეჯილი“-ს ირგვლივ მუდამ

იმპროტებოდა საღამოები, რომელსაც ესწრებოდნენ კობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე და სხვა მწერალ-პედაგოგები.

ერთ საღამოს, როცა ყველანი ჩაის შევექცევოდით სასადილოში, კარი ვიღაცამ შემოაღო დერეფანში; დია-სახლისმა ანასტასიამ გაიხედა და სიხარულით წამო-იძახა: „ო...ო! კაკი! აკაკი! მობრძანდით! მობრძან-დით!“

მე ისე ამიკანკალდა გული, რომ კინაღამ საბუდა-რიდან ამომივარდა. კარებში ნელის ნაბიჯით შემოვიდა იმისთანა თვალწარმტაც გარეგნობის მოხუცი, რომ იმ ოცნებასაც კი გადააჭარბა, რომელიც მე წარმოდგე-ნილი მქონდა აკაკიზე. მაღალ-მაღალი წარმოსადევი ტანი, დაგვირვეინებული ზევსისებური თავით. მაღალი შუბლი და ტკბილი მოღიმარე სახე თოვლივით თეთრი თმა, წვერ-ულვაშებით, ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნი-დნენ თითქო ზეცა გაიხსნა და ოლიმპიდან თვით უკვ-დავი ღმერთი ჩამოვიდა ჩვენთან, მიწიერებთანაო.

ყველა იქ დამსწრენი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ფეხ-ზე წამოუდგნენ და მოწინებით ეპატიუებოდნენ: „მობრ-ძანდით“, „აი აქეთ დაბრძანდით“... აკაკი ძალიან თავ-მდაბალი, გულკეთილი და ზრდილი კაცი იყო, ბევრ-ჯერ ზომას გარეთაც თავმდაბალი... მიუხედავათ ამი-სა, ის ნამდვილი არისტოკრატი იყო ჩამომავლობითაც და სულითაც. აკაკი, როგორც შეეფერება ყოველ დი-

დებულ პიროვნებას, სცდილობდა, რომ ცხოველი მოვალეობა
სავით, ყველა გაეთბო ირგვლივ, გაეცოცხლებინა, გაე-
მხიარულებინა.

როცა მეც გამაბედნიერეს და იმ ჩემთვის დაუვიწყარ
საღამოს გამაცნეს დიდებული პოეტი და მოახსენეს—ეს
აზიანიაო,—ის ღიმილით მომიბრუნდა და მითხრა —
„ქალო, შენ სანახავათ გორში მოვდიოდიო“.

მე საშინლათ გავწითლდი, მთლათ ავირიე სიხარული-
სგან — (23-24 წლისა ვიყავ და დავიჯერე ეს ქათინ-
აური) — მაინც, როგორც იყო, მოვახერხე პასუხი:
თქვენ შეიძლება დამცინით, ბ-ნო აკაკი, მაგრამ მე კი
მართლაც თქვენ სანახავათ თბილისში გეახელით
მეთქი.

მთელი საღამო ყური და თვალი საყვარელ პოე-
ტისაკენ მქონდა მიპყრობილი და ვფიქრობდი: ბუნებამ
ალბათ მარტო შენზე მოიცალა, რომ გონებითაც და
გარეგნობითაც აგრე უხვათ დაგაჯილდოვა მეთქი.

მართლაც და რა მშვენიერი სანახავი იყო აკაკი, რო-
ცა თავისებურათ ოხუნჯობას მოჰყვებოდა ნაცნობ-
მეგობრებში! ან სავარძელში რომ გადაწვებოდა, ნიბ-
ლიასეეფ ქუთუთოებს დახრიდა თვალებზე და მოგ-
ვიყვებოდა უცნაურ ამბებს, რომელთა სინამდვილე
არავის სჯერობა, რადგან იქვე, მსმენელთან, სახელ-
დახელოდ იყო შეთხზული მაგრამ ეს ამბები ისე
უხვათ იყო შეზავებული მაღალი პოეზიით და ენა მახ-

ვიღობით, რომ ძალა-უნებურათ მიჰყვებოდი დიდებულ
პოეტს უდაბნო ბილიკებით მის კოშკში! თავბრუ დახ-
ვეულ მსმენელებს ძალა-უნებურათ გვაგონდებოდა რუ-
სეთის დიდ პოეტის სიტყვები:

«Тымы горьких истин нам дороже

Нас возвышающий обман!»

ეს ნამდვილი პოეტური თვისება აკაკისა ერთხელ
(ვგონებ, 1905 წ.) საკარიკატურო მასალათ გახადეს
ფედერალისტებმა და „ცნობის ფურცელი“-ს ერთ-ერთ
დამატების № -ში აკაკი დახატეს პირში სტვირით და
ამ სტვირიდან გამომდინარე საპნის ბუშტები, ქვეშ კი
ნაანერეს: „სიბერის დროსა არ ვარგა საპნის ბუშტების
სროლაო“.

ამ კარრიკატურამ საშინელი ალიაქოთი და გულის-
ნყრომა გამოიწვია, როგორც აკაკისა, ისე მის თაყვა-
ნისმცემლებისა, და ტყვიასეეფ წამოვიდა პროტესტები
ლექსით და პროზით ფედერალისტების მიმართ. თვი-
თონ აკაკიმ, რამდენიც მახსოვს, გესლიანი ლექსით
უბასუხა „ცნობის ფურცელი“-ს ერთ-ერთ მთავრ მეს-
ვეურს, გიორგი ლასხიშვილს, რის შემდეგ ზემოხსე-
ნებულ გაზეთის უახლოეს ნომერში მობოდიშების
ნაირი ახსნა-განმარტება დაიბეჭდა. თუ არ ვცდები,
შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო: ევროპაში მიღებუ-
ლია დიდებულ პირების გაკარიკატურება და ეს სუ-

ლაც არ ლახავს მათ ღირსებასაო; ხოლო ჩვენ კურ
არა ვართ შეჩვეულიო... და სხვა ამისთანაები.

აკაკის ოხუნჯობას ისე, როგორც გამოჩენილ რუს
პოეტ პუშკინის მოსწრებულ სიტყვა-პასუხს და „ანეკ-
დოტებს“, დიდი პოპულიარობა ჰქონდა ხალხში მოპო-
ვებული. ბევრჯერ ისეთ ხუმრობა-შაირების ავტორება-
თაც კი აცხადებდნენ მათ, რაც თვითონ ხალხმა შეთ-
ხუზა და ამ ორ პოეტს თავის დღეში არ უთქვამო.

აქ ვეცდები გადმოგცეთ ის, რაც მე თვითონ მსმენია
აკაკისგან, ან გამიგონია იმ პირებიდან, რომელიც ახ-
ლო იდგნენ პოეტთან და ღირსნი არიან დაუჯეროთ
მათ ნაამბობს. აქვე კი უნდა მოვიბოდიში, რომ მოხუ-
ცების გამო ბევრი რამ დამავიწყდა და ეხლა ძალიან
ვნანობ, რატო რვეულში არ ვიწერდი აკაკის მოსწრე-
ბულ სიტყვებს. მას მე ვხვდებოდი თითქმის ყოველ
დღე: ჯერ ანასტასია წერეთლის სახლში, სადაც მე
და-ვყევი 3-4 წელიწადი და სადაც პოეტი კვირაში
ორ-ჯერ-სამჯერ შემოდიოდა ხან დღისით, ხან
საღამოზე. საშინლათ უყვარდა ლობიოს შეჭამანდი და
დიასახლისს შეუკვეთავდა ხოლმე: „შენმა მზარეულმა
ხვალ ლობიო დამიმზადოსო“.

ხშირად ვხვდებოდი პოეტს აგრეთვე დ.წ.ალდადანო-
ვის ოჯახშიც. აქ მე ვიშოვე უფრო ფართო ოთახი და
კარგა ხანს ვცხოვრობდი. ამ დასახელებულ მანდილო-
სანთან მიწერ-მოწერაც ჰქონდა აკაკის. ერთ-ერთი წე-

რილი მეც წამიკითხა დარია მიხეილის ასულმა, როგორც ნიმუში პოეტის ოხუნჯობისა. აქაც ხშირათ ჰპატიუებდნენ პოეტს სადილათ მაგრამ უფრო ხშირათ მე ვხედავდი აკაკის მაშინდელ ქართულ თეატრში (ახლა ვოროშილოვის სახელობის კლუბი), სადაც პოეტი მინვეული იყო რეჟისორათ და სადაც მე მებარა ბიბლიოთეკა. თეატრს განავებდა „ქართული დრამატიული საზოგადოება“, რომლის წევრებიდან კარგათ მახსოვან: ნ.გ.ქართველიშვილი, ს.კლდიაშვილი, ვასო სულხანიშვილი და ის იყო ახლათ ჩამოსული საზღვარგარეთიდან გიორგი დეკანოზიშვილი. ყველანი-განათლებულნი, ხელოვნების კარგი მცოდნენი, უანგარო მუშაკი და იშვიათი ხასიათის ადამიანები. მიუხედავათ ამისა, როცა გიორგი დეკანოზიშვილი—(პროფესიით სამთო-მადნის „გორნი“ ინჟინერი) - გააცნეს აკაკის, უკანასკნელი მიუბრუნდა იქ მყოფ ზემოხსენებულ პირებს და ირონიით უთხრა — „ძვირფასი იაგუნდ-ზხურმუხტები სხედხართ „დრამატულ საზოგადოებში“ და „გორნი“ ინჟინერიც მოგინდებათო. ეგება თქვენისთანა ბრილლიანტები კიდევ აღმოაჩინოს“. ყველას სიცილი წასკდა კეთილი გულისა იყო აკაკი, მაგრამ ბევრჯერ შხამიანათაც იკბინებოდა. რუსების თქმისა არ იყვეს — „для красного словца не пожелеет и отца“—სწორეთ მასზე იყო გამოჭრილი. ერთხელ, ანასტასია წერეთლის სახლში სადილის შემდეგ, ელიკომ (გიორგი წერეთლის

ქალმა) ჩემი სურათი უჩვენა წიგნში აკაკის. ამ სურათში, მართლაც, ძალიან გავალამაზებინე ფოტო-გრაფს. აკაკიმ დახედა სურათს, მერე მე შემომხედა, თავი გადააქნ-გადმოაქნია იჭვიანათ და წამოიძახა: „წადი და ამიერიდან ფოტოგრაფებს დაუჯერეო!“ მე საშინლათ მეწყინა, სხვები კი სიცილით კვდებოდნენ. რამაც უფრო გამანინმატა. —წავიდე პაპიროზი მაინც მოვწიო ამ დარდიან გულზე მეთქი—და დავაპირე ჩემ ოთახში წასვლა. —„პაპიროზი კი არა, პაპის როზგი გინდ, რომ ახალგაზრდა ქალი თუთუნს ეწევიო“ —მომაძახა აკაკიმ. მეორე დღეს დიდებულმა პოეტმა ისე გამაბედნიერა, რომ მთლათ გამიქარწყლდა ჩემი მისადმი სანდურავი. შემოვიდა თუ არა „დრამატულ სზოგადოების“ კანტორაში, სადაც ბიბლიოთეკაც იყო მოთავსებული, თავის ლექსების კრებული გამომიშვირა და მითხრა: „ჩემ სახსოვრათ გქონდეს ესაო“.

ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, მეტადრე როცა ყდა გადავშალე და აკაკის ხელით წარწერილი ლექსი წავიკითხე:

„მწერალ ქალსა აზიანსა,

ნიჭიერს და აზრიანსა,

თანაც დიდათ პრაზიანსა!

თუ არ არგებს, არც რას აწყენს,

არ მოუტანს მას ზიანსა!“⁴¹

ეს „საზრიანი“ და „ნიჭიერი“ ისე მიამა, რომ მაჭარებულება რივით თავში ამივარდა და „ცაქუდათ აღარ მიმაჩნდა, დედა-მიწა ქალამნათა“, მაგრამ რაც შეეხება „თანაც დიდათ ბრაზიანსა“, სწორეთ მოგახსენოთ, არაფრვათ მექაშნიკა, მაგრამ მაინც დიდი მადლობა გადავუხადე.

არ გასულა ორი წუთი და იმნავე გამართლდა ეს ჩემ მიერ დაწუნებული სტრიქონი. იქ ყოველი მსახიობთა და აკაკის შუა ლაპარაკი ჩამოვარდა სიყვარულზე. მასოვს, იქ იყვნენ: კოტე ყიფიანი, ნატო გაბუნია, ივანიძე, აკაკიმ თავისებურათ დაინყო ოხუნჯობა და გვიამბო შემდეგი ანეკდოტი: ერთ სომეხ-ვაჭარს ლამაზი ქალი ჰყავდა, ეს ქალი შეუყვარდა ახალგაზრდა ქართველს, რომელიც ხშირათ აცივდებოდა ამ ქალს—„მითხარ, გენაცვა, როგორ გიყვარვარ?“

—რას ჩამაცივდი, ქა...ა, ასს მანათს მირჩევნისარ!—უპასუხა სომხის ქალმა. ყველამ სიცილი დაინყო, ჩემს გარდა.

მე, თუმცა ნაციონალისტები არ ვიყავი, საშინლათ გავპრაზდი და ვუპასუხე: „მანათები“ იმერეთისკენ იცით, აქეთ „თუმნებსა“ ვხმარობთ მეთქი.

ავდექ და, გულის მოსაფხანათ, მეც ჩემი ანეკდოტი უამბე: ის როგორ იყო ბ-ნო აკაკი, ერთმა ქარაფშუტა ქართველმა კნიაზმა ცხვირი რო მოაკვნიტა სომეხ-ვაჭარსა, როცა უკანასკნელმა თავის ფული მოსთხოვა მეთ-ოდედ ილეგორიზმის მცირების მეზურებ მცდელობრივი მა-

ქი? (ეს სულელური ანეკდოტი ვიღასგანაც მქონდა გაგონილი).

—მერე ის ცხვირი რა უყო იმ კნიაზმაო? —მკითხა აკაკიმ.

მეც არ ვიცოდი რა უყო, მაგრამ თამამათ უპასუხე—რა ვიცი, მგონი ჩაყლაბა მეთქი.

—„არა შვილო,—ფიცხლავ მომიგო აკაკიმ—სომხის ცხვირი რომ ჩაიყლაპოდეს, მაგას არავინ დაგიჯერებსო!“ ახლა უარესი სიცილი ატყდა. მაგრამ არავის ეგონოს, რომ აკაკის ეჯავრებოდა სომხები, ან კაციჭამია შოვინისტი იყო პირიქით, აკაკის მშვენიერი განწყობილება ჰქონდა ბევრ ინტელლიგენტურ სომხის ოჯახთან, ზემოთდასახელებულ ალდადანოვებთან, თუმანიშვილებთან, გაბრიელ სუნდუკიანცთან, რომელსაც ხშირად აქებდა და „სომხის ოსტროვსკის“ ეძახდა, თანაც არა ერთხელ აღუნიშნავს: სუნდუკიანცმა ძალიან დიდი სამსახური გაუნია ქართულ თეატრსაცაო.

თვითონ მეც მამა-შვილურად მეპყრობოდა და მაქეზებდა პიესების წერა განმეგრძო.

აკაკი ბევრჯერ თავის ცოლშვილზედაც ოხუნჯობდა. მისი მეუღლე, შთამომავლობით, ბაზილევსკაია, ფაშვაშა ქალი იყო. ერთხელ თურმე, როცა აკაკი თავის მეუღლით ჩასულა ქუთაისში თუ საჩხერეში, იქაურ მცხოვრებლებთ პოეტის პატივ საცემი ზეიმი გაუმართავთ. აკაკის მეუღლეს მიუმართავს ქართველი საზო-

გადოებისათვის: „мой муж для вас то-жее, что для русских Толстой“, რაზედაც აკაკის უპასუხებია: „Я то не толстой, а вот ты – толстая, это-правда!“ ეს მე სხისგან გამიგია.

ერთხელ მე ჩემი ყურით გავიგონე აკაკის ნაამბობი თავის მეუღლეზე: „პირველათ რომ საქართველოში ჩამოვიყვანე და საჩხერეში ჩაველით აქეთ-იქიდან გლეხებს და ნაცხობებს ნაირ-ნაირი ზღვენი მოჰქონდათო: ზოგს-ხილი, ზოგს თბილი პური. ჩემი ცოლი მხოლოდ გასჩიჩქნიდა ამ მოტანილს, დასუნავდა და იტყოდა ხოლმეო — „фу, как воняет!“ ბოლოს მოთმინებიდან გამოველი და უთხრიო: „Это у тебя, матушка, наверное нос воняет! Надо тебя повести к врачу!“ ერთხელ, მახსოვს, ანასტასია წერეთლის სახლში სადილსუეან, სასტუმროში ვისხედით და აკაკის ოხუნჯობას ყურს უგდებდით. ამ დროს კარები შემოილო გარედან დ ერთ-ერთ ქრთველ მსახიობის მეუღლე შემოვიდა, 7-8 წლის ბავშვით ყველას მიესალმა და მიმართა აკაკის თხოვნით: ბ-ნო აკაკი, მითხრეს რომ სადილათ აქა ბრძანდებით და გავკადნიერდი და შეგაწუხეთ ამ კვირია ჩემი ქმრის ბენეფისია და, გთხოვთ, ერთი რამ ლექსი დაგვიწეროთ და სცენიდან წაიკითხოთ. ნება რო დაგვრთოთ და თქვენი მონაწილეობა ანონსათ გამოვაცხადოთ გაზეთში, აუარება ხალხი მოაო და ჩვენისთანა გაჭირვებულ არტისტებს ძალიან ეშველება. აკაკიმ იმნამსვე თანხმობა გამოუცხადა, პატარა ბავშვს ვერცხლის მან-

ეთიანი აჩუქა და გამოთხოვებისას დაპკირდა, რომ შევიდა პატარა ოთახში, დასავენებლათ, ჩვეულებისამებრ.

ელიკომ-(გიორგი წერეთლის ქალი) აიღო მისი „სერთუკი“ გასანმენდათ და ლილების დასაკერებლათ... აკაკის მუდამ „სერთუკის“ საყელოზე ფქვილივით ეყარა ქერტლი და მუდამ ლილები პქონდა ალაგ-ალაგ აგლე-ჯილი.

საღამოზე, ჩაიზე, პოეტმა წაგვიკითხა ფანქარით დაწერილი მშვენიერი ახალი ლექსი, საბენეფისოთ გამზადებული. მთლათ აღარ მახსოვს ეს ლექსი, მაგრამ რამდენიც გონებაში ჩამრჩა, ასე იწყობოდა:

„დღეს რომ მეფე ვარ, ხვალ-გმირი“...

და თავდებოდა ასეთი სტრიქონებით:

„წელიწადში მხოლოდ ერთ დღეს მინიჭები შევხარით, როგორც აღდგომას, მაშინ რომ მაშინ მაინც ვეღირხოთ ჯერზედ ცოლ-შვილის გაძლომას!“

X X X

ეს სანატრელი ტკბილი დღე მოთიმცემ და სახელათ „ბენეფისია“,

მაგრამ ვი, რომ ხშირათა სახრავი მაინც სხვისია!“

(ბოლო სტრიქონი გულისხმობს თეატრის ხარჯებს)

ყველა აღტაცებაში მოგვიყვანა ამ ლექსმა. დადგუა ბენეფისის დღეც. გაზეთში მოთავსებულმა ანონსმა— „აკაკი ახალ ლექსს წაიკითხავსო“ გაჭრა და იმდენი ხალხი მოიზიდა ქართულ თეატრში; (რომელიც მაშინ მუდამ ცარიელი იყო ხოლმე)—რო ნევსი არ ჩავარდებოდა. ამდენი ხალხი მხოლოდ ასეთ პირველ ხარისხოვან არტისტების ბენეფისზე გროვდებოდა, როგორც: ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ლიზა ჩერქეზიშვილი...

ფარდა აიხადა, გამოჩნდა აკაკი სცენაზე და გაიმართა ისეთი ოვაციები, ისეთი ტაშის ქუხილი, რომ კარგა ხანს ლექსის წაკითხვაც აღარ დააცალეს. მიუხედავად ამისა, რომ ლექსი წაკითხა ძალიან დაბალი ხმით და ბევრს უკანა რიგებში არცეკი ესმოდათ, მაინც საყვარელი პოეტი ისეთი აღტაცებით მიიღეს, გეგონებოდათ მისი ბენეფისია და არა მსახიობისაო.

დასასრულ აქ მინდა გიამბოთ აკაკის ერთ-ერთი ლექსის ბედ-იღბალზე, რომელიც მან დაწერა 1905 წ. ნეტარ-ხსენებულ ილია ჭავჭავაძის დამარხვის შემდეგ. ერთხელ, ანასტასია წერეთლის სახლში, აკაკიმ ამოიღო უბის ჯიბიდან თავის ხელთნწერი ზემოხსენებული, ჯერ არსად დაბეჭდილი ლექსი და დაიწყო წუნუნი: „ეს დავწერე ამ დღეებში და არ ვიცი სად დავბეჭდო, ყველანი უარს მეუბნებიანო: სოციალ-ფედერალისტები „სოციალ-დემოკრატს“ მეძახიან, ეს უკანასკნელნი კი — „სოციალ-ფედერალისტსო“. აღარავინ მწყალობს, აღ-

არავინ მიბეჭდავს ლექსებსაო. მე ვიცოდი, რომ ლექსების
 სიტყვები ჩვეულებრივი პოეტიური გადაჭარბება იყო
 და მოვახსენე: აბა, გვიბოძე ეგ ლექსი და, ვნახოთ,
 როგორ სიხარულით დაბეჭდავენ მეთქი: მართლაც აი-
 ღო და გადმომცა. მე მაშინ უცბათ გორში წამოსვლა
 მომიხდა კარგა ხნით. ეს ლექსი თან გამყვა და საწერ
 მაგიდის უჯრაში ჩამოჩა. მას შემდეგ გავიდა რამდენმე
 ნელიწადი. ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ შემხვდა
 უკვდავი აკაკი თბილისში ნაცნობების სახლში და ქუჩ-
 აშიც და მთხოვდა: „მომე ის ლექსი, გადავწერ და დე-
 დანს ისევ მოგცემო, მე აღარ მახსოვს ზეპირათო“,
 მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მე უფრო ძუნწურათ ვმა-
 ლავდი საყვარელ პოეტის ხელთნაწერს და არ მე-მეტ-
 ობა დასაბრუნებლათ. ვერ წარმომედგინა, რომ მას
 აღარ ახსოვს თავისი ლექსი და ვერ განაახლებს. ბო-
 ლოს, როგორც იქნა, დავირცხვინე და გორიდან თბი-
 ლისში წამოვიდე ეს ხელთნაწერი ავტორისთვის გადა-
 საცემათ ვიმედოვნებდი: ჩემთან გადასწერს და დედანს
 ისევ დამიბრუნებს მეთქი... მაგრამ განგებამ აღარ მა-
 ლირსა მისი ნახვა! ვიხილე მხოლოდ მისი დიდებული
 დამარხვა, სადაც მთელი ერი ისე გლოვობდა, როგ-
 ორც დამწვარი დედა-დაკარგულ შვილსა! არა თუ მა-
 რტო ქართველი ერი, არამედ ყველანი, განურჩევლად
 ეროვნებისა, ვისაც კი წაუკითხავს და გაუგონია მისი
 უკვდავი ნაწარმოები! აქ აღარ აგინერთ, რა ღრმა

მნუხარება განვიცადე და როგორ მტანჯავდა სკინძი-
სი, რომ დიდებულ პოეტს არ ავუ-სრულე სურვილი
და დროზე არ დავუბრუნე მისი ხელთნაწერი. მაგრამ
რუსების თქმისა არ იყვეს — „лучше поздно, чем никогда“,
ავდექ და ეს ლექსი (აკაკის ხელთნაწერი) გადავეცი
დასაბეჭდათ იმავ „თემის“ რედაქციას, რომელმაც ქვე-
მოთმოყვანილი შენიშვნა დაბეჭდა (№ 206, 8 თებერ-
ვალი, 1915 წ.) თავის გაზეთში: „ეს მაღალმნიშვნელო-
ვან შინაარსის ლექსი მოგვივიდა, რისთვისაც დიდ მა-
დლობას ვსწირავთ ნ. აზიანს. დავბეჭდავთ მაშინ, რო-
დესაც მივიღებთ ამის უფლებას საქართველოს ისტო-
რიის და ეთნოგრაფიის საზოგადოების გამგეობისგან,
რომელ საზოგადოებასაც უანდერძა ჩვენმა აკაკიმ თა-
ვის უკვდავნაწერების გამოცემა“.

ნ. აზიანი

2 ოქტომბერი 1939 წ.

დამარხვა

სიცოცხლეში რა ვიცით?

მტრობა, გმობა, ყვედრება!

მაგრამ დამარხვაში კი

ვერავინ შეგვედრება:

გავიგონებთ თუ არა,

მოკვდა „ესე და ესო“,

ცოცხლებში ვეღარ ვხედავთ
 იმაზე უკეთესსო!
 ნიდგინის განვითარებით ზეცას,
 ვაბნელებთ მზეს და მთვარეს
 და ძავ სუდარმი ვახვევთ
 მთელ საქართველოს მხარეს!
 დეპება დეპეშებზე
 მოდის გახურებული!
 ხორა-ხორა ეგება
 გვირგვინების კრებული!!!
 გადაქცეული სიტყვად,
 ვასაქსაქებთ ენასა
 და მით ვსცდილობთ ჩვენივე
 თავის გამოჩენასა!
 მაგრამ რომ გავათავებთ,
 დავმარხავთ მიცვალებულს,
 მივსდგებით ისევ ცოცხლებს
 და მით მიოხებთ ჩვენ გულს
 არ ვზოგავთ მოღვაწეებს,
 აბუჩად აგდებულსა
 და თუ მოკვდენ, გავმართავთ
 დამარხვას დიდებულსა!
 დიალ! ქართველ მოღვაწეს
 ყველას თვალში ვამცირებთ:

სიცოცხლეში ვატირებთ!

რომ მოკვდება—ვიტირებთ!..

ეს ლექსი სწორედ ის ლქსია, რომელიც, როგორც ჩვენ გვეონდა მოხსენებული „თემის“ 8 თებერვლის ნომერში გადმოგვცა ნ.აზიანმა. ეს ლექსი უკვე დაიბეჭდა სხვა გაზეთებში, მაგრამ შეცდომებით. ამ შეცდომებს ადვილად დაინახავს მკითხველი, თუ შეადარებს აკაის ლექსის დედნის ამ პირს იმ გაზეთებში დაბეჭდილ ლექსსა. თვით დედანზე სხვისი ხელით აღნიშნულია თარიღი: 21 ენერისთვე 1907 ნ. ქუთაისი: ლექსი დაწერილია ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის შემდეგ.

რედ.

ხი ცენტ გრანტის იუდი ცეცხლობის ღმისცდა
-კავკასიაში უბართდა თუ მომბლიური კულტურის
-ობა-ობა გამოიყენებოდა გამოიხდეობდა ხილი. ხილი
ცენტ გამოიყენდა იუდი იმისთვის ანდემოლიტის ინი
ვით, საემით, დაიმიგრა-ზაერებით სცდილიობდა პაზა-
რი დონეტი იუდი ის „სცდაც“: ძახიონიაშ დაცვების
რა მაპერიკალეც კი ნაკარისლათ ექცია, მაგრამ მაღ-
იან ხშირათ ნალელიანათ იტყოფა ხოლმე: ამა და იმ
შემოვიდ დეტალები და ძალიან დაძირებული ნისაც ა
შეკრალშა ას არტისტმა დადა იმედები მომირია, მო-
-ცდები ცლებ ხოლ, თავისტე იველ იმდობივ ითვემ ის
ლოს კი მოეტყურდით: ყვავილ-სუსტავ-ივით ლაბაზი
დფუტც იუდი იუდმინნ დალებუნ ხი ლეცეც „ნისანია
ფილებით თვალი მომზარე მერა ის უნაყოფ გამო-
-ით ცლები ნიუბრი ნირგან, ძალი შეძლის მძამოზომინ
და და ჟერ და ნამ.

-შე ჩე გე დებრტი იუდი და ის აძმდუა და მი იძინონია
ნუნიანინ იყორინის რომ ქს მოგონიანი მარტო დი-
-ძებ რივერ ციციტინ ლციი მო — უცხოო, თავისტე უფ-
ფირამბებისათვის არის დაწერილი. არა აკაქიაც, რო-

აკაკის ობუნჯობანი

აკაკის უფრო ქალების საზოგადოება უყვარდა, არა თუ მარტო ლამაზ და კოხტა ქალებისა, არამედ ბევრ-ჯერ მახინჯ და უკბილო ბებერ მანდილოსნებშიც მშვენივრათ გრძნობდა თავს. მე ვვონებ ეს აიხსნება იმით, რო ასეთ აუდიტორიაში უფრო მეტი გასავალი ჰქონდა მის სახელდახელოდ შეთხზულ ლამაზ და ენა-მახვილ, მაგრამ არა დასაჯერებელ ლეგენდა-ანეკდო-ტებს.

გარდა ამისა, ქალებსაც (ბებრებს თუ ახალგაზრდებს) ძალიან უყვარდათ აკაკი, რომელიც ხშირათ არც მათ-ზე დაცინვას ერიდებოდა, მიუხედავათ თავის განთქ-მულ ზრდილობისა. ერთხელ, ტასო წერეთელთან რამ-დენიმე საზოგადო მოღვაწე ქალი შეიკრიფა, მეც იქ ვიყავი. კაცებს შუა იყო დიდებული პოეტიც. ერთ-ერ-თმა მანდილოსანმა თავზე ხელი წაივლო და სასო-ნარკვეთით წამოიძახა: „უ...უხ! რა თავი მტკივა, რა თავი მტკივა!“

აკაკიმ გესლიანათ ჩაიცინა და უთხრა „ნეტა ვიცოდე, რა ისეთი ძვირფასი თავი გტკივათ, რომ ეგრე კვეხუ—ლობთო?“ ყველა იქ მყოფთ საშინელი სიცილი აუტყდა მანდილოსანს ძალიან ეწყინა, მაგრამ აკაკიმ მალე და-აშოშმინა ის და აუხსნა: „რა თავი მტკივა“ კი არ უნ-და გეთქვათ, არამედ — რა ძიელ მტკივა თავიო. მახ-

სოვეს კიდევ, რომ აკაკი ხშირათ ენდუროდა მაშინდედაც ცენზორს № № -ს, რომელიც მისი სიტყვით, მუსრს ავლებდა მის ნაწერებს და სრულებით უდანაშაულო სტრიქონებსაც კი წითელი მელნით ამახინჯებდა, ერთ-ხელ, როცა დრამატულ საზოგადოების კანტორაში ვიყავი, დიდებული პოეტი შემოვიდა და იქ მყოფთ არტისტ-მწერლებს უამბო აღელვებით: „დიდი ჩხუბი მომივიდა ცენზორ № -თან ჩემი ლექსების დამახინჯების გამო და იცით იმან რა მიპასუხაო?“

—რაო? —ვკითხეთ ჩვენ.

—ნადი და საცა გინდა მიჩივლეო!

მეც მივაძახე: ჰო, თუ გინდა უფრო წინ წაგასკუპონ და ჩინ-ორდენები მოგიმატონ შე სიმართლის ჯალათო!“

აკაკის ძალიან უხაროდა თუ მშობლიურ კულტურის ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდეობდა ხოლმე. სიტყვით, საქმით, დარიგება-ნაქეზებით სცდილობდა პატარა წაპერწალიც კი წაკვერჩხლათ ექცია, მაგრამ ძალიან ხშირათ წალვლიანათ იტყოდა ხოლმე: ამა და ამ მწერალმა ან არტისტმა დიდი იმედები აღმიძრა, ბოლოს კი მოვტყუვდიო: ყვავილ-პუსტივ-ივით ლამაზი ფოთლებით თვალი მომტაცა, მერე კი უნაყოფო გამოდგა და უკვე დაჭკნაო.

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მოგონებანი მარტო დიფირამბებისათვის არის დაწერილი. არა აკაკისაც, რო-

გორც დიდებულ პოეტს, დიდი ტემპერამენტის მქონესთვის
ბევრ კარგ მხარეებთან, ბევრი ნაკლულევანებაც ჰქონ-
და. სხვათა შორის, სიბერემდის ძალიან უყვარდა პან-
ქოს თამაშობა; მე მიჯავრდებოდა: ადექი, ნუ თამაშობ
„ბაკარა“, „მაკაოს“, თვითონ კი ღამეებს ათენებდა
ქართულ კლუბში (ახლა ვოროშილოვის სახელობისა).

არ ერიდებოდა გადამლაშებულ, დამამცირებელ ოხუნ-
ჯობასაც მოპირდაპირეს წინააღმდეგ, (მაგრამ დიდე-
ბულ პუშკინის სიტყვებისა არ იყვეს:

„Пока не требует поэта

К священой жертве Аполлон,

В заботах суэтного света

Он малодушино погружён!

.....

И меж детей ничтожных мира

Быть может он ничтожне всех!“)

და თუ ვინმე უვიცი როდისმე უღირსათ მოიხსენებს
აკაკის ხასიათის რომელიმე ბრუნდე მხარებს, მაშინვე
გადაშალოს მგოსნის უკვდავი ნაწერები და სამხილოთ
გამზადებული ფილიპიკა შეეცვლება ლოცა-კურთხევათ
განსვენებული პოეტის მიმართ.

თავი უოუელთვის დამოუკიდებლათ ეჭირა: იმ როცა ზოგიერთი ილია ჭავჭავაძე

ორი დიდი ქურუმი ქართული ლიტერატურისა-ილია და აკაკი, რომელთაც ღირსეული ალაგი უჭირავთ ხელოვნების ტაძარში, ოლიმპზე, ძლიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთში ხასიათით. იმ დროს როცა აკაკი,- ყველასთვის მისაწვდომი და მყუდრო კაცი,-ხშირად ჩამოდიოდა და ღმერთების მთიდან უბრალო მომაკვდავებთან საუბრათ, საოხუნჯოთ, ილიას თავი მძიმეთ ეჭირა და ასჯერ ასწონ-დასწონიდა სანამ ვისმე დაუახლოვდებოდა და გულის კარებს გაუღებდა.

შორიდანაც მისი მზრუნველობა და მაღლი მესმოდა: ხან პართენ გოთუა, ხან რომელიმე სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი გადმომცემდა ხოლმე: „ილიას ძალიან მოეწონა შენი ახალი პიესა“, „ილიამ ბევრი იცინა შენ უკანასკნელ ფელეტონზეო“, თუმცა მე მაშინ ამ ფელეტონებს სოციალ-დემოკრატების პრესაში ვათავსებდი და ილია სრულიადაც არ იზიარებდა ამ მიმართულებას. სწორეთ ამ მიუდგომლობაში იხატება მისი ღრმა ჭკუა და ნამდვილი დემოკრატობა!

— რა ისტორიული დროის რეალისტური დროის მიერ ნაციონალი თითქმის მუდარისებრი აუდიტორი კონისტონ ყრი- ბრინჯა იძებნებო ძირი გე წილისე ქარი— ატლეტიზმი ის სვის დაბრედ სურნელებათ მარჯვებული ლობი წერ- წერებდა, და კისმენდით ხელს მიერ დახყობილ რომე-

ნიკო ლომოური

ნიკო ლომოური ჩემი მასწავლებელი იყო: როცა მე გორის ქალების პროგიმნაზიაში ვებარე ქართულ ენას გვასწავლიდა. თვით ნიკოც და მისი გაკვეთილებიც ძალიან გვიყვარდა მონაფეებს. მის მიერ გადმოცემული ზღაპარ-შაირები და ლექსები გოგებაშვილის „დედა-ენიდან“ და „ბუნების კარიდან“ ეხლაც ზეპირათ მახსოვს და, რამდენიც ჩემი პატარა სამშობლო-გორი გამახსენდება, თვალებზე ცრემლი მომადგება ხოლმე და ვდუდუნებ: „მახსოვს პირველათ სასწავლებელში რომ გამამგზავრეს“ და „ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზო?“

ნიკო ლომოური იყო დინჯი, წყნარი, ტკბილი კაცი. მან ადვილათ იცოდა ისეთ შეუპოვარ ბავშვის გულის მონადირებაც კი, როგორც მე ვიყავ პატარაობისას. არც სხვა ზოგიერთ მასწავლებლებივით მიფერება იცოდა დიდ ოჯახის შვილებთან. ერთხელ ნიკომ, მოთმიწებიდან გამოსულმა, უთხრა განთქმულ გვარის ქალს: „შენ ერისთავი კი არა, ქათმის თავი უნდა გერქვას, რომ ასჯერ ახსნილს ვერ იხსომებო!“ კლასში რომ სიცილი ატყდა და ბავშვმა ტირილი დაიწყო, ძალიან შეწუხდა: მივიდა, მიუალერსა, დააჩუმა და ჩვენ კი გაგვიჯავრდა—„რას იცინით? ეგ არის თქვენი ამხანაგობაო?“ ჩვენ ძალიან შეგვრცხვა.

თავი ყოველთვის დამოუკიდებლად ეჭირა: იმ დროს შემა
როცა ზოგიერთა მასწავლებლები უფროსების გულის
მოსაგებათ ლაქიობდნენ და კალოშ-პალტოების მირთ-
მევასაც არ თაკილობდნენ დირექტორ-ინსპექტორე-ბი-
სათვის, ნიკო ლომოურს თავი ამაყათ ეჭირა და ბევრ-
ჯერ ოპპოზიციაშიც უდგა იმ გარუსების სისტემას,
რომელიც მაშინ მეფობდა სკოლებში.

როცა წერა დავიწყე, მან ყოვლისფრით ხელი შემი-
ნყო, რომ ამ გზისთვის არ ამექცია. სანამ გორში
ვცხოვრობდი, გავათავებდი თუ არა ჩემ ნაწერს, უნინ
ნიკო ლომოურთან გავაქანებდი, წაუკითხავდი და, თუ
რომელიმე ალაგი არ მოეწონებოდა, ავწონ-დავწონიდი
და ბოლოს მაინც გადავაკეთებდი, რადგან ნიკო ლო-
მოურის გამოცდილება და ავტორიტეტი ღრმათ მნამ-
და. თვითონაც არა ერთხელ წაუკითხავს ჩემ წინ თა-
ვის ახლათ დაწყობილ ნაწარმოების ნაწყვეტები, რომე-
ლიც პატარა უბის წიგნაჟში სუფთათ ჰქონდა ხოლმე
ჩანერილი. გორში ის ცხოვრობდა თავის მეუღლის,
სოფიო ალექსის ასულის (ხუდადოვის ქალის) სახლში.
პირველ ოთახში, რომელიც კარგა სინათლიანი იყო,
შევიყრებოდით ხოლმე თვითონ ნიკო, მისი ოჯახობა
და მე აგუზგუზებულ ბუხართან, სადაც ნაღვერდლიან
ნაცარში თითქმის მუდამ კოხტა პატარა კოჭობში ყნო-
სვის დაბნედ სურნელებათ შეზავებული ლობიო ჩუხ-
ჩუხებდა, და ვისმენდით ნიკოს მიერ დაწყობილ რომე-

ლიმე ახალ მოთხრობას სოფლის ცხოვრებიდან. უკიდურესი
დაამთავრებდა და დაბეჭდავდა ახალ თხზულებას,
ნიკო უთუოთ მეც მაჩუქებდა ხოლმე ერთ ეგზემპლი-
არს თავის წარწერით, რაც ძალიან მახარებდა. ბევრ-
ჯერ ამ კითხვებს ესწრებოდა რომელიმე გორში მცხო-
ვრები ან თბილისიდან შემთხვევით ჩამოსული ქართ-
ველი მოღვაწე მწერალი, რომელიც ლრმათ პატივსა
სცემდნენ და უყვარდათ ნიკო. ესენი თავის დღეში ისე
არ გაივლიდნენ გორზე, რომ არ ენახათ ნიკო და არ
მოესმინათ მისი ტკბილი ბაასი.

იაკობ გოგებაშვილი

მისი დედა ენა და ბუნების კარი ჩემი ბავშვობის სახარება იყო. იაკობი გავიცანი 1898 წელს, ჩემი პირველი პიესის წარმოდგენის დამეს. ახოვანი ტანისა, განიერი მხარ-ბეჭიანი, გამოწყობილი უმწიკვლო სუფთა თალს ტანისამოსში, მსხვილი ცხვირპირის მოყვანილობა, ამაყი და მეტად სერიოზული სახე. უნდა გამოვტყდე და გულახდილათ მოგახსენოთ, რომ ჩემ პირველ მასთან შეხვედრის დროს ის რაღაც გაკრახმალებულ პედანტათ მეჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ არც მან მიმიღო უკადრისათ. და პირიქით, დადებითათ მოიხსენია ჩემი პირველი ნაწარმოები. მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ ეს ცივ-ამაყი გარეგნობა სრულებითაც არ შეესაბამებოდა იაკობის გულკეთილობას და უხვ ქველმოქმედებას: რამდენსს, მწერალს და ათასნაირ გაჭირვებულ ხალხს შველოდა იგი! მისი გულკეთილობით ხშირათ სარგებლობდა მეტადრე აკაყი წერეთელი, რომელიც იაკობს ძალიან უყვარდა.

თვეში ორ-სამჯერ იაკობს ვხედავდი ტასო წერეთელთანაც, რომელთანაც მე რამდენიმე წელიწადი ვბინადრობდი. ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა ხშირათ მართავდა კრებებს თავის საბავშვო უურნალ „ჯეჯილი“-ს ირგვლივ და ამ კრებებზე იწვევდა თვალსაჩინო მწერალ-პედაგოგებს. რაღა თქმა უნ-

პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი

იგი ყოველ ზაფხულს გორში მოდიოდა. აქაური ქართველ-სომეხი და ყველა ტომის ხალხი დიდი პატივით ეპყრობოდნენ მას და ხშირათ ჰქატიუბნელნენ ჩაი-სადლზე, უმართავდნენ ნადიმს ხან „გორიჯვარში“, ხან „ხიდისთავში“ და სხვა.

გორელებს თავი მოჰქონდათ, რომ მათაც ჰყავთ გამოჩენილი კაცი-პროფესორი! გარდა ამისა, თვით ალექსანდრემ თავის ტკბილი და ოლიანი ხასიათით, სისადით, თავმდაბლობით სამართლიანად დაიმსახურა მათი სიყვარული.

ალექსანდრე ხახანაშვილი დაიარებოდა ჩვენსაც. მე პირადათ დიდი ღვაწლი და სიკეთე დამდო მან. სწორეთ ამ დროს მე- (მაჟინ 16-17 წლის ქალმა) ის-ის იყო, ჯერ შინაურულათ ავიდვი ფეხი ლიტერატურულ გზაზე და, ვლამობდი რა პარნასზე იოლათ აძრომას, ვჯდაბნიდი: ხან დანტვრული რითმებიან რუსულ-ქართულ ლექსებს, ხან სატირულ სცენებს (ჩემ მიერცე ნახატ კარრიკატურების ჩათვლით) გორელ „მექანებზე“ და ჩარჩვაჭრებზე, რისთვისაც მთელი გორი გადავიმტერე და დავიმსახურე... „ლანძღვის მწერალი“-ს სახელი.

- უი, ქა, გენაცვალეთ, ძველი ლეჩაქი მხურავს, არ ამწეროს, რას დამაცქერდა?!— წამოიძახებდა ხოლმე რომელიმე გორელი მეჭორე მანდილოსანი.

სახანაშვილს გავატანე მთელი ხსოვნა ჩემი ნაწერება
ბისა, მათ შორის ზემოთ ნახსენები თარგმანიც ნადსო-
ნის ლექსიდან. ორი-სამი დღის უკან კიდევ შემოიარა
ჩვენსა, მომიტანა ჩემი ხელნაწერები და მითხრა: ბევ-
რი ვიცინე თქვენ სცენებზე-ცხოვრებიდან ამოგლეჯილი
ფურცლებიაო. ნამდვილი სატირიულ იუმორისტული
ნიჭი გაქვთო. ლექსების თარგმა-წერაზე კი ხელი აი-
ღეთ, არ გეხერხებათ,-ლირიკა თქვენი დანიშნულება
არ არისო. მერე მოუბრუნდა ჩემ მშობლებს და უთხ-
რა: რატომ უშლით თქვენ ქალს წერასაო? ეს დიდი
ცოდვაა, რომ ნიჭს უხშობთო... რა ყურს უგდებო გო-
რელ „მეშჩანებსო“ და სხვა ამისთანები. ის იყო და
ის! ჩემ მშობლებს ხმა აღარ გაუციათ ჩემთვის, რაკი
ალექსანდრეს დიდათ აფასებდნენ და ღრმა პატივსა
სცემდნენ. მას შემდეგ ალექსანდრე უფრო ხშირათ მო-
დიოდა ჩვენსა, ჩემ ნაწერებზე შენიშვნას მაძლევდა,
მისწორებდა... მარიგებდა: ესა და ეს წიგნი წაიკით-
ხეო. თვითონაც მოჰქონდა ჩემთვის წიგნები.

ალექსანდრეს მეტად ძუნნი კაცის სახელი ჰქონდა
დავარდნილი, რის შესახებ არა ერთი ანეკდოტი გამი-
გონია, მაგრამ მის გარდაცვალების შემდეგ ანდერძი-
დან გამოირკვა, რომ ეს „სიძუნნე“ მაღალ მიზნით იყო
გამოწვეული: მთელი შეძლება თავის სამშობლო გორსა
და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“
დაუტოვა.

პროფესორი ივანე ჯავახიშვილი



ვანო ჯავახიშვილს და მის ოჯახობას (მშობლებს, ძმებს და დებს) ბავშვობიდანვე ვიცნობდი. ჩემი ორთავ დეიდები ვანოს ბიძებს ხოვლელ თავად-ჯავახიშვილებს ჰყავდათ ცოლად და რაღგან ყოველ ზაფხულს ჩემ დეიდებს მივყავდი თავიანთ სოფელში, —ვანოს და მახლობლებს ყოველდღე ვხედავდი, ოჯახობა ზამთრობით თბილისში ცხოვრობდა, ზაფხულობით თავიანთ სოფელ „ხოვლეში“, რომელიც წარმოადგენს მშენებელ სააგარაკო ალაგს და მდებარეობს 6-7 ვერსტის მანძილზე სადგურ გრაკალიდან.

აქ კარგა ბლობა ინტელიგენცია იკრიფებოდა ზაფხულობით თვითონ ჯავახიშვილების საგვარეულოდან და დროებით მოსულ მოაგარაკეთაგანაც. იმართებოდა ექსკურსიები, ბჭობა, ბაასი საღამოებით. მთვარიან ღამეს, მოლიპულ, მოსუფთავებულ კალოზე—ლხინი. თვითონ ვანოს ანუ „ვანიჭკას“ (როგორც შინაურები ეძახდნენ)—ცეკვა არ მინახავს, მაგრამ სჯა-ბაასში კი ბადალი არა ჰყავდა. არც მუსიკა იყო მისთვის უცხო, რამდენათაც მახსოვს, სკრიპკაზე უკრავდა. გიმნაზიის სკამდანივე მეტად სერიოზული, დინჯი, წყნარი და ფაქიზი ყმანვილი იყო. სტუდენტობის დროს ხომ სულ წიგნებში და უურნალ-გაზეთებში იყო წაფლული და წანაკითხს—რამე საინტერესო პოლიტიკურ ან მეცნიერულ ამბავს, ახალ აღმოჩენას უთუოთ საღამოზე კალოზე გვიამბებდა აღფრთოვანებით. მაშინვე ეტყობოდა პროფესორის კათედრისაკენ მისწრაფება.

ხახუნი მომიქანდაკ ცმინდე იძოოქცოოშ

ანტონ ფურცელაძე

ანტონ ფურცელაძესაც ახლო არ ვიცნობდი: ერთი-ორი შეხვედრა მქონდა მხოლოდ. პირველვე გაცნობაზე მამა-შვილურათ მიმიღო წამაქეზა განმეგრძო წერა კო-მედიებისა და მითხრა: „უცხო ხომ არა ვარ თქვე-ნი—„ზემლიაკები ვართო“. (გორის მაზრიდან იყო). სა-სიამოვნო სახე ჰქონდა: ბრტყელი, დიდი შუბლი, ჭა-ლარა შერთული თმა და ულვაშები, კეთილი სანდომია-ნი თვალები. ცალი ფეხით კოჭლობდა, მაგრამ მხნეთ და მამაცათ მიაბიჯებდა ქუჩაში. ხალხოსნურ წრეს ეკ-უთვნოდა და ამას ამტკიცებდა არა მარტო წერით არ-ამედ საქმითაც. გორის მაზრის გლეხობა ძალიან ემა-დლიერებოდა მას. ანტონი შველოდა ამათ ფულითაც და დარიგება-გამოსარჩლებითაც, როცა რომელმე თავ-გასული ფეოდალი, ან წურბელა ჩარჩ-ვაჭარი ანიოკებ-და გლეხებს. გულწრფელი, უანგარო პატრიოტი იყო ამ, სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ის სხვა ერსაც პატივსა სცემდა. სიმართლის დაცვაც რაინდული იცო-და.

„თეთრი შიო“ და „შავი შიო“

ასე უწოდებდნენ შიო მღვიმელს (ქუჩუკაშვილს) და შიო არაგვისპირელს (დედაბრიშვილს), რადგან პირველი მათგანი იყო თითქმის ქერა კაცი, მეორე კი კუპრივით შავი. ორივე ნიჭიერები იყვნენ. ერთი სწერდა ბავშვებისათვის, მეორე მოთხრობებს, ნოველებს, ბევრჯერ სექსუალურ ხასიათისას, რისთვისაც ქართველთა საზოგადოებაში დაერქვა „ჩვენი მოპასანი“. ეს ორი შიო, თუმცა ხასიათითაც ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთში — მღვიმელი იყო მუდამ მოლიმარი, შუბლებახსნილი, ტკბილი კაცი, არაგვისპირელი კი მოღუშული, ფლეგმატიკოსი, ორ სიტყვას ერთად ძლივს ამოილებდა. დიდათ მეგობრობდნენ ერთმანეთს.¹²

„თეთრი შიო“ უტესებოს ქართული დროი, ერთი რიცხვით ხელობა სამიგრაციო გარემოების შემთხვევაში უძრავი იყო. მაგრამ ერთმანეთში ამ სამორის მინიჭებული იყო უსამართვო და უსამართვო მინიჭებული. არაგვისპირელი კი ერთმანეთში არა უსამართვო მინიჭებული იყო უსამართვო მინიჭებული. იმისათვის, რომ არა უსამართვო მინიჭებული იყო უსამართვო მინიჭებული, არაგვისპირელი კი ერთმანეთში არა უსამართვო მინიჭებული იყო უსამართვო მინიჭებული.

„შავი შიო“ და „თეთრი შიო“ შეასრულდებოდა თეთრი სავარაუდო სახას სამართვით. არა უსამართვო მინიჭებული იყო უსამართვო მინიჭებული.

„თეთრი შიო“ და „შავი შიო“ გარემოების შესახებ მართვის შემთხვევაში მინიჭებული იყო უსამართვო მინიჭებული.

„თეთრი შიო“ და „შავი შიო“ გარემოების შესახებ მართვის შემთხვევაში მინიჭებული იყო უსამართვო მინიჭებული.

ჩვენ დიდ ბელადს, ამხანავ სტალინს, ბავშვობისას ისე კარგა არ ვიცნობდი, როგორც შემდეგ თბილისში, სადაც მან მიმიწვია თავის გაზეთების თანამშრომლათ – სატირული ფელეტონების საწერათ. ისე იქნება გორში ყოველ დღეც მხვდებოდა ქუჩაში, მაგრამ მე მეხსიერებაში ჩამრჩა მხოლოდ ორი შემთხვევა. მე მაზე ორი წლით დიდი ვიყავ. 16 წლისა რო გავხდი, დედა-ჩემმა შეაკერვინა ჩემთვის გრძელი კაბა გორელ საუკეთესო „პარტნიხებს“ (ორ გასათხოვარ დებს) გვარათ კულიჯანოვებს, მეტსახელად „ჭიჭოგიანთ“.

ამ ჭიჭოგიანთა დღეში ორ აბაზათ საკერავს ჰერავდა ამხანავ სტალინის დედა კეკე, რომელსაც დედა-ჩემი კარგად იცნობდა. ერთხელ როცა კაბას ვისინჯავდი, გარედან შემოისმა ხმა: „დედა“! კეკე წამოხტა და წამოიძახა: „უი სოსოა! მომიკვდა თავი, დღეს პურის ფული არ დამიტოვნია სახლში“. ერთი ორი გროში გამოართვა ლიზას (ერთ-ერთი და „პარტნიხა“) და გაურბენინა შვილს. მე ცნობისმოყვარეობით გავიხედე ფანჯრიდან და დავინახე სუფთა ხალათშარვალში ჩაცმული ფერმკრთალი, გამხდარი 14 წლის ყმანვილი, მეტად სერიოზული სახისა. ბევრი ეხვენეს ორთავ დები, ბევრხან ემუდარნენ „მოდი შვილო სოსო, სადილათ—სუფრა გაშლილია“. მაგრამ ბავშვმა თავი გაიქნია, მადლობა გადაუხადა და

შინისკენ წავიდა.

მაშინ კეკე თავის შვილით, თუ მეხსიერება არ მღა-
ლატობს სობოროს ახლო იდგა.

||

1895 თუ 1896 წელში (ეხლა კარგად აღარ მახსოვს) მოსკოვიდან გორში ადმინისტრაციულად გადმოასახლეს გორელი მცხოვრები, სტუდენტი-მედიკი უოზე ბარა-
მოვი. ეს იყო პირველი მარქსისტი, რომელიც გორს მოევლინა და ვგონებ, რომ მარქსისტული მონათვლა სწორედ ამ უოზე ბარამოვისაგან მიიღო ამხ. სტალინ-მა. უოზეს მამა სომეხი იყო, დედა კი-გერმანელი. უო-
ზემ რუსულ-ქართული ენის გარდა, მშვენივრათ იცოდა გერმანული, რამაც უფრო ხელი შეუწყო მის ლრმა გა-
ნათლებას ყოველ დარგში: პოლიტიკურ საკითხების და მეცნიერების გარდა მას ძაან აინტერესებდა ხელოვ-
ნებაც. რაც შეეხება მის ზნეობრივ ფიზიონომიას ვი-
ტყვი მხოლოდ, რომ ამისთანა სპეტაკი და პატიოსანი კაცი არც წინათ და არც მერმე არ შემხვედრია! გა-
დამლაშებულათ არ გეჩვენოთ ჩემი რწმუნება, რომ მი-
სი მოქმედებანი და იდეები კოლოფივით მოდიოდნენ ერთმანეთთან, რაც ცხოვრებაში თითქმის არ ხორციე-
ლდება...

და განგებამაც თითქო იგრძნო ეს და ადრე მოუსპო
ნათელი სიცოცხლე... იგი გარდაიცვალა, როცა 25

ნლისაც არ იყო (ტუბერკულოზით). მეუღლე მას გაჰყავდა
და რუსეთის გამოჩენილ ბოლშევიკ სტოპანის და, რო-
მელიც თან მოპყვა გორში ქმარს. ეს უოზე ბარამოვი
იყო ჩემი უფროსი ძმა პეტრეს ამხანაგი და სანამ
ჩემი ძმა პეტრე ისევ მოსკოვის ციხეში იჯდა მუშებში
პოლიტიკურ პროპაგანდისათვის, უოზე ბარამოვის
საქმე უკვე გაერჩიათ და განაჩენი გამოეტანათ: ადმი-
ნისტრაციულათ გადასახლდეს სამშობლოში.

აი აქ შემხვდა ამხ. სტალინი: მე ის იყო შევდიოდი
ბარამოვიანთ ეზოში, რომ ამხ. სტალინი (მაშინ ესე
15-16 წლისა) წიგნებით იღლიაში, გამოდიოდა. შესვლი-
სთანავე უოზემ მითხრა: «Встретили этого парня? из него
выйдет замечательный революционер! А какая любознательность!
Он прямо-глотает книги!»

ყაჩაღების ჩამოღრჩობის ამბავი გორში

1891 წელს. (13 წლის 6.აზიანი)

ხალხი ტატე და სანდრო ხუბულურის სახელს ახსენებდნენ. ეს ყაჩაღები მებატონეს გაექცნენ და ტყეს შეაფარეს თავი. პოლიცია სდევნიდა მათ მაგრამ მაინც განაგრძობდნენ ძარცვა-გლეჯას და კაცკვლას, არავის უხსენებია რომანტიული მიზეზი ამათ ტყეში გაცვივნისა. ამბობენ მხოლოდ რომ აშ ხიზან ოსებს ბატონმა დაუპირა თავის მამულიდან აყრა, ამათაც მოკლეს ბატონი და ტყეში გაცვივდნენ.

ყოველდღე უცნაური თავზარდამცემი ამბები ეფინებოდა გორსა. დაღამდებოდა თუ არა ყველანი მაგრა ჰკეტავდნენ ფანჯრებსა და კარებებს. 10 საათის იქით გარეთ აღარავინ გადიოდა და შინა ბუდობდნენ.

უცბათ გორში ხმა გავარდა ყაჩაღები დაუჭერიათო! ვერ წარმოიდგენთ რა სიხარული და აღტაცება შეუდგათ გორელებსა, მეტადრე შეძლებულ ხალხს... ყაჩაღები დაუჭერია ვიდაც ბოქაულს, გვარად ფაღავას, რომელიც თვითონაც დაჭრილიყო იმათთან ბრძოლაში და ჯილდოთ ჯვარიც მიიღო. ზოგი ამბობდა გორიჯვრის ტყეში დაიჭირეს ყაჩაღებიო, ზოგი ატენის ხეობას ასახელებდა. ასე თუ ისე ერთ დღეს დაჭერილებიც და დამჭერებიც ჩამოიყვანეს გორში. დიდი და პატარა,

ქალი თუ კაცი გაექანა მათ სანახავად. წავიდა ბეჭდაზე ჩემიც და წაგვასხა ბავშვებიც. საპყრობილეს წინ, ფართო, გაშლილ ალაგზე, სწორედ ქალების პროგიმნაზიის გვერძე, აუარება ხალხი შეგროვილიყო და მოუთმენლად მოელოდა ყაჩაღების და მათ დამჭერის მოყვანას. არ გავიდა ბევრი ხანი და უცბათ ხალხში ჩოჩქოლი და ყვირილი გაისმა. „მოჰყავთ“, ყველა ლამობდა რომ უფრო წინ წაწეულიყო, რომ კარგად დაენახა. საკაცით, რომელიც ორ-ორ ჩაფარ-ურიადნიკს ეჭირათ თავში და ბოლოში, სახეგადაფითრებული, ნაბადნახურული დაჭრილი ფაღავა გამოჩნდა. უნდა გენახათ რა აღტაცება რა „ვაშას“ ძახილი დაიწყო მის დანახვაზე. შემდეგ თოკით თუ ჯაჭვით ურემზე მიმაგრებული სამი ყაჩაღიც (მე მკაფიოდ მახსოვს, რომ სამნი იყვნენ და სამივეს სახე დამახსომდა) ტატე, სანდრო ხუბულური და მესამეს სახელი და გვარიც ვიცი. უკან თოვებიანი სალდათები მოსდევდნენ. ყველას თვალები მიეპყრო ყაჩაღებს.

სალამო ხანს ძლივს დაიშალა ხალხი. ფაღავა ჩქარის მატარებლით გამოისტუმრეს თბილისში მოსარჩენათ, ყაჩაღები კი იქვე საპყრობილეში ჩაამწყვდიეს, სანამ სასამართლო განაჩენს გამოუტანდა. კარგად მახსოვს მისი ჩამოღრჩობის დღეც, რომელმაც ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ დღესაც ვერ დამივიწყნია და ვერ მიპატიებია დედაჩე-

მისთვის, რომ მეც თან წამიყვანა ამ საზარელ სურათისა
თის საცქერად.

1891 წლის ყველიერის დღე იყო. მთელი გორი „წმინ-
და წყლის“ უბნისაეენ გაემართა. აქ აემართათ ორი
თუ სამი ჩამოშეებული საღრჩობელა, რომელთა ქვეშ
იდგა უშველებელი შავი ყუთი. მიწიდან ყუთამდე მიმა-
გრებული იყო დაბალი კიბე. ყუთზე იდგა ტაბურეტ-
კაც. ჯარს უკან მოშორებით მოზვავებულ ხალხის
რკალი იყო. დანავარდობდენ პოლიციელნი და მათრა-
ხების ქნევით ხალხს იგერიებდნენ. აუარება ხალხი
უცდიდა ტრაგედიის დაწყებას. მშვენიერი მზიანი დარი
იყო. უცბათ ხალხში ჩოჩქოლი, მიწევ-მოწევა, მათრახე-
ბის მოქნევა დაიწყო. მოისმა ხმა „მოჰყავთ, მოჰყავთ“.
ჯერ დავინახე წითელხალათიანი ჯალათი მოღუშული
და შემკრთალი სახე ჰქონდა. ეტყობოდა რუსი იყო.
მახსოვს ისიც რომ მაშინვე გულუბრყვილოთ გავიფიქ-
რე: „ამ ქეციანმა ქონდრისკაცმა რა უნდა დააკლოს
ტატეს და სანდრო ხუბულურს, როგორ უნდა მოერი-
ოს იმათ?“

გამოჩნდნენ ხელდაფეხ შეჯაჭვული სამი ყაჩალიც. წინ
და უკან მოსდევდნენ ბარაბნით და შტიკ-თოფებით
სალდათები. სამივე ყაჩალს სახე გადაპირებოდა,
მაგრამ ტატეს ეხლაც ყოჩალად ეჭირა თავი და დევი-
ვით მიაბიჯებდა ეშაფოთისკენ. ვიღაც გამოვიდა და
რაღაც წაუკითხა ყაჩალებს. ტატე და სანდრა ხუბულ-

ური გადაეხვივნენ მესამეს, აკოცეს და გამოეთხოვნენ, ეს მესამე განზე დააყენეს. ორ ყაჩალს ფეხები გაუხსნეს ჯაჭვისაგან და აიყვანეს შავ კამოდზე... მღვდელმა ჯვარი გაუშვირა ორთავენი ემთხვივნენ. ჯერ ტატეს შეუყო თავი თოკში და ჯალათმა ტაბურეტყა გამოაცალა თუ არა ტატე უნძრევლათ დარჩა. იმწავ ჩამოილრჩო. ჯერი მიდგა სანდრო ხუბულურზე, სანდრო იყო მაღალი, წერნეტა ყელი ჰქონდა. როცა ტაბურეტყა გამოაცალეს მან ისე იწვალა დატრიალდა თოკზე და სიმწრისაგან ფეხების ქუსლებს კეფაზე ირტყამდა, მგონი კიდეც ჩამოწყდა თოკიდან და მეორეთ აიყვანეს დასაღრჩობათ. არა თუ მარტო ჩვენ, ყველა დანარჩენი მაყურებელიც შეძრნუნდენ.

ისე დაყურსული ვიყავი ამ საზარელი სურათით.

6. აზიანი

15 დეკემბერი 1940 ნელი

ଶ୍ରୀନାଥ (ମୁଦ୍ରଣ କରିବାରେ) — ଗୋଟିଏ କବିତା ଏବଂ କବିତା କିମ୍ବା କବିତା ?

ଜୀବିତର ଉପରିଭାବରେ କବିତା କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?
 ଏବଂ କବିତା କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?
 କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?
 କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?
 କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?

କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?

ଓଲାଙ୍ଗାତ୍ମକ ପରିଚୟ
 କବିତା କିମ୍ବା କବିତା ?

“ଅଛେ କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?”

କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?

“କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?”

କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ? କିମ୍ବା କବିତା ?

პატარა დათა მეტისმეტად ცნობისმოყვარე ბავშვი იყო: ყველა გაუგებარ სიტყვას ამოსწერდა ხოლმე გა-ზეთ-წიგნიდან და ხან მასწავლებელს ხან დედ-მამას სთხოვდა მათს ახსნას. აი ეხლაც მთელი სია, მისთვის გაუგებარ სიტყვებისა შეარბენინა მამის კაბინეტში და პანტასებრ დააყარა მამას კითხვები:

შვილი—მამა, მამილო, „თვით...გამორკვევა“ რა არი?

მამა— „თვით გამორკვევა“, გენაცვალოს მამა...აბა როგორ აგიხსნა?.. ეგა, შვილო როცა მათ ბოლშევიკები ყბაში გაარტყავენ ხოლმე, მაგალითად სომხებს, ან ქართველებს, ეგ ერები თვითონვე უნდა მოვიდნენ გონს და გამოერკვიონ... იმიტომა ჰქვიან „თვითგამორკვევა“.

შვილი—ხო...ო, ახლა კი მესმის!... „იმ-პერი-ალიზმი“ რაღა არი, მამაჩემო?

მამა—„იმპერიალიზმი“ შვილო, არი, როცა მე, მაგალითად „კამფეთი“ მიჭირავს და გამომგლეჯს ვინ-მე...

შვილი—თუ შენ გამოგლეჯ?

მამა— ეგ იმპერიალიზმი აღარ იქნება... მაგას „სოციალიზმი“ ჰქვიან, გენაცვალოს მამა. ამიტომ ეცადე, შვილო, რომ არავინ არაფერი წაგლივოს და პირიქით, ყველას შენ დაასწრო და წაგლივო...

შვილი(მუქარით) — ოჭ და, დამაცადოს ჩვენმა მეზობლივების? ანთ კოტემა! იდ... „იდიალები“ რაღას ნიშნავს?

მამა — გაზაფხულის ჩიტებია, გენაცვალე... საშინლად უყვართ შენებრ ახალგაზრდა ბიჭუქებსა! მხოლოდ ეგ არი, ამ ბოლო დროს რაღაცამ გაავლო მუსრი და აღარსადა სჩანან... დიდი ხანია აღარ მოფრენილან, აღბათ სუსტიანმა დარებმა თუ დააშინათ...

შვილი — პრი... პრინციპები, მამილო რა არი?

მამა — ეგა, შვილო, მძიმე ბარგია, რომელიც გაჭირვების დროს, თუ მეტადრე რამეს საშოვნელად მიდიხარ შორეულ გზას, აღელვებულ ზღვაში და სხვა... იმ წამს უნდა გადისროლო და მოიშორო თავიდან, თორემ ჩაგძირავს და დაიღუპები!

შვილი — ხო...ო, ახლა კი მესმის! კიდეც იმიტომა სწერენ ხოლმე მენშევიკ-ბალშევიკები ერთმანეთზე: „პრინციპები იქით მიაგდეთ“... მამა: ბალშევიკ მენშევიკები ხომ ნინათ ძმები იყვნენ და რაღათ განყრენ? ან რათა ჰქვიათ: „ბალშევიკ“, „მენშევიკ?“ რომელი უფრო დიდია იმათში?

მამა — ჰაი, ჰაი, ბალშევიკები! იმათ გადააჭარბეს მენშევიკებს ჭკუაში და კიდეც იმიტომა ჰქვიათ ნიშანი... ისინი ეხლავე თხოულობენ ყველაფრის დატაცებას, მენშევიკები კი ეუბნებიან: „დაიცადეთ, რეკვიზიციითაც მოვასწრებთ მაგასაო...

შვილი—მერე, თავის დღეში აღარ შერიგდებიან?

მამა— ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წავა
საქმე... თუ საერთო გაჭირვება დაადგათ და
იმათზე მძლავრი მგელი გამოვარდა, ძალიანაც
ჩაეხუტებიან ერთმანეთს!

შვილი—„და... მოუკიდებლობა“ რაღა არი?

მამა— ეგა, შვილო, საფარია, სიცოცხლის დამცველი...
ნინანდელ დროში მეომრები ხმარობდნენ, რომ
თავი გადაერჩინათ მტრის ტყვიისაგან. ომი გა-
თავდებოდა თუ არა, იმ წამს მოიხსნიდნენ ხო-
ლმე...

შვილი—ქემალ-ფაშა ვიღა არი?

მამა— (შეხტება და შემოტრიალდება) როგორ არა
გრცხვენიან! ბავშვი ხარ, მაგრამ ეგ არ გეპა-
ტიება! როგორ, ქემალ-ფაშა არ იცი, ვინ არი?
სულ ერთია, რომ პურის სახელი არ იცოდე!
ქემალ-ფაშა არის სახელგანთქმული სოციალის-
ტი—პირდაპირი მემკვიდრე დიდი მარქსისა რო-
მელმაც ამოდენა სიკეთე მოუტანა მთელ დე-
დამინას და მეტადრე რუსეთს! ხომ გაგიგონია,
რომ ამ შიმშილობის დროს მარტო რუსეთია
გამაძლარი და იქამდინ ყიჭყიჭი მოსდის, რომ
ლამის ლენინიც უკან არწყიოს და ყველა ური-
ებიც!..

შვილი—„სპე...სპეკულაცია“ რაღა არი მამა?

მამა— რევოლუციის პირმშო შვილია... მაგრამ უაფი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო“, ხო გაგიგონია? ისე გაუტეხა მშობელს სახელი, რომ ესეც სასიკვდილოთ არ ინდობს... შვილი— „სატარიფო პალატა“ ვიღა არი?

მამა— სწორედ ის არის, რომელსაც სპეკულაცია წამ- დაუწეუმ ბუბნის! უკანასკნელად ისე ეცემნა, რომ ის უბედური სიკვდილის პირზე გდია! აღარ იციან, როგორ მოასულიერონ... შვილი— „ბიუდ-ჯე-ტი“ რაღა არი, მამილო?

მამა— სახელდახელოთ აშენებული ღობე ხუსულა, რო- მელსაც ყოველი ღორი, ნახირი ადვილად გად- მოანგრევს და სულ მოგიჭამს-მიგიჭამს ბოსტ- ნეულობას, ბალს,... შვილი — „კამისარი“, მამილო, ყველაზე უფროსია, არა?

მამა— ხო, საქმით ეგრე გამოდის... თუმცა თავმჯდო- მარე ყველაზე უფროსათ ითვლება, მაგრამ თუ კომისარმა არ მოისურვა, თავმჯდომარის ყვე- ლა „ბრძანებები“ „ენუქას ანდერძათ“ დარჩე- ბა... მაგრამ... კარგი შვილო, ზოგიც კვლავ იყვეს... დავიღალე, კრებაზე მეჩქარება... ხვა- ლინდელი დღე ხომეკატას არ შეუჭამია?¹³

თვითმკვლელის წერილიდან:

„მამ გიორგი!

ვიცი, დიდად გაიოცებ ამ ჩემს საქციელს და დიდადაც
 გამამტყუნებ მაგრამ თუ ჩემს წერილს გულ დასმით
 ბოლომდის წაიკითხავ, მაშინ, დამეთანხმები, რომ მე
 სხვა გზა აღარ მქონდა... შენ ხომ კარგად იცი, რომ
 მე ძალიან მიყვარდა სიცოცხლე და ისე მეჯავრებოდა,
 მეშინოდა სიკვდილისა, რომ თავის დღეში არც ერთ
 მიცვალებულის დამარხვას არ დავსწრებივარ... ქუჩა-
 შიც კი, მღვდლების გალობა რომ მომესმოდა, ცხრა
 მთას იქით გავრბოდი, -მკვდარი არ დავინახო მეთქი...

და დღეს ჩემი ხელით ვიკლავ თავს... გაცვდა გუ-
 ლი... დავიღალე... აღარ შემიძლიან... ცალკე იდეალე-
 ბის დამარხვა (რაც მე მათ საფლავზე ვიტირე!) ცალ-
 კე ეს გაჭირვება... რომელი ერთი მოითმინოს ადამი-
 ანმა? არა, ადამიანს ბევრი რამ შესძლებია, პირუტყვ-
 ზე მეტი მოთმინება ჰქონია! ბარაქალა, ადამიანო! ამ
 დღეებში, ჩვენს სტამბაში ერაძის პური მიუგდეს
 ძალს,- უსუნა, მაგრამ არ შესჭამა... მე კი ცუხცუ-
 ხით წამოვარბენინე სახლში და პამიდორთან ერთად,
 გემრიელად ჩავახრამულე!.. ვენაცვალე პამიდორს! იმ-
 ან გამაძლებინა, ის იყო ჩემი იმედი და ბურჯი ამ
 ბოლო დროს!.. ის რომ არ გამომთხოვებოდა და არ
 წასულიყო, იქნება მეც თავი არ მომეკლა... რამდენიც

იმის ლოგებზე სიწითლე ხუნდებოდა ამ შემოდგომას, იმდენად ჩემი გული წვეთ-წვეთად იღვრებოდა დარდი-სგან... დიახ, იმის ნასვლამ და ჭიქის გატეხამ დიდად იმოქმედა ჩემ პსიხიკაზე... შენ ხომ იცი, რომ თავათ ისედაც დიდი ბარგი და ნივთი არ გამაჩნდა და რაც გამაჩნდა, ყველა მივყიდ-მოვყიდვ ამ ბოლო დროს (ასე გასინჯე ლეიბსაც კი გამოვეთხოვე და იატაკის ტილო-ებზე ვწევარ ეხლა! ძან კი გამომადგა ეს იატაკის ტილოები, საცვლებიც მაგისი დავიკერე...) შემრჩა ერთი ჭიქა... ისიც აკი ღმერთი არ გამიწყრა, ხელიდან არ გამისხლტა და არ გამიტყდა ამ დღეებში! „უბე-დურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“-სწორედ ამაზე იტყვიან!... გულს შემომეყარა, მეზობლებმა ძლივს მომაბრუნეს... კიდევ კარგი, რო მოვისაზრე, ვაქსის ყუთი გამოვრეცხე და იმასა ვხმარობ წყლის დასალევათ, თორე საიდან უნდა მეყიდა ახალი ჭიქა? მგონი, შენც შეგატყობინე ჩემი უბედურება (ჭიქის გატეხა)... შენგან სამძიმრის წერილი მოვიდა და მანუგეშებდი — „არა უშავსრა, თავისუფლების გულისთვის უნდა მოითმინო,“ ძან აბეზარი კი ყოფილა ეს შენი „თავისუფ-ლება“, ჩემო ძმაო! სულ „მოითმინე“ მოითმინეო“ და თვითონ კი არაფერს იმეტებს! მღვდელსაც მავიტომ ვაქციე ზურგი, რომ იმ ქვეყნათ მპირდებოდნენ სამო-თხეს, ამ ქვეყნათ კი მოთმინებას მირჩევდნენ... მე, ჩემო ძმაო, ეპიკური ვარ ბუნებით და ამ ქვეყნათ

მინდა ბედნიერება... როგორც „კარტოუნიკები“ ამჟამაში „ქოჩი და სტატუსი“ დაპირებები არა მწამს... მერე, ცოტა მოვითმინე, ცოტა თხლაშა-თხლუშები მივიღე მაგ შენი თავისუფლებისაგან... მარტო სიტყვა „ამხანაგი“ რა ფასათ დამიჯდა! ერთ მუშასთან საქმე მქონდა და მივმართე: ადამიანი მეთქი. გავახსენე თუ არა ეს სიტყვა იმ წამსვე პირში შემომაჯუროთხა — შენი „ადამიანი“ ვინ არი „ამხანაგს“ ვერ დამიძახებო?!" წავინერე დავთარში და ყველას „ამხანაგს“ ვეძახდი, მაგრამ ბედი რო არა მწყალობს! ამ დღეებში მაგ „ამხანაგობისთვისაც“ კაი სილა არ მომხვდა! მერე ვისგან?-ერთ პატიოსან ინტელიგენტისაგან, რომლისგანაც არავინ ელოდა ამ მხეცურ საქციელს!-მით უმეტეს წარე იყო ჩემთვის ეს სილა! როგორც კი გამაცნეს და მივმართე: ამხანაგო-მეთქი გამიშალა და ისეთი სილა მტკიცა, რომ ყბა გვერდზე მომექცა!-შენ ვის უბედავ შეურაცხყოფასაო?! მას შემდეგ მოვდივარ და ვკითხულობ, რა სჯობიან: „ამხანაგობა“ თუ „ადამიანობა?!" ზოგი რას მეუბნება, ზოგი რას... გზა-კვალი ამებნია, აღარა მესმის რა, არა, ძმაო, თქვენთვის დამილოცნია ანმყოც და მომავალი „სამოთხეც!“ მე კი იქ წავალ, საცა არც „ამხანაგობაა“ არც კომისრები, არც ერაძე, არც მომარაგების სამინისტრო და სხვა ჯანაბა! მშვიდობით, არ გამამტყუნო! შენი ძმა ვასო..¹⁴

ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან

ისე გამიწყალეს გული, ისე მომაბეზრეს თავი წამდა-
უნუმ ყვირილ-ღრიანცელით „დემოკრატიამ ასე ბრძა-
ნაო“, „დემოკრატიამ ასე ინებაო“, „დემოკრატიის ნება-
სურვილი ასეთი გახლავსო“ მე ადრე „ერთობა“ და
„ბორბამ“ ხომ პირდაპირ ყურები გამომიჭედეს!

მეც ავდექ და გადავწყვიტე: წავალ, პირდაპირ ვენა-
ხულები ქ-ნ დემოკრატიას (მით უმეტეს, ხომ ცოტაო-
დნათ ვიცნობდი მას 1905 წლიდან) და ვკითხავ —
დაო, ისეთი რა დამიშავებია შენთვის, რომ ასე მიმნა-
რებ დღეებს და ასეთ გაჭირვებას მაყენებ მეთქი?!
ისე დილა არ გათენდება, რომ შენმა მრისხანე „ბრძა-
ნებებმა“ ფანჯარას არ დააბრახუნონ და გული არ გა-
დმომიბრუნონ. შენი სახელით სოფლიდან ბრაგანი მიკ-
რეს, თბილისში სახლი ჩამომართვეს, ნაქირავებელ
ოთახებში ვიღაც ხეპრე, ხამი-კომისარი ჩამისახლეს,
გაზეთი, სადაც ამ დარდიან გულს ვიოხებდი ხოლმე,
ჩამიკეტეს, ახლა ესეც არ მაკმარეს და ამ ცივ ზამთ-
არში შეშის საჭრელათ ტყეში მგზავნიან, თუმცა, იცის
ღმერთმა, ჩემს გაჩენაში ცული არ ამიღია ხელში და
უგუნურების ტყეს მხოლოდ კალმითა ვჩეხდი მეთქი!

ერთი სიტყვით, გადავწყვიტე უთუოთ მენახა ჩემი
ძველი ნაცნობი, რომელიც ასეთ ავყია ადამიანათ არ
მეგულებოდა და ასე თუ ისე მომელბო მისი გული.

კითხვის-კითხვით, მოგეხსენებათ, სად არ მივა ვართ და დადგინდეთ, მიანი და მეც ერთ დილაადრიან გაუდექ გზას. მე მეგონა, რომ ეს დიდებული არსება, რომელსაც სიტყვით ასე ანებივრებდნენ და სტყლარჭავდნენ ჩვენი მენშევიკები, სცხოვრობს მათთან ერთად განცხრომით, ავტომობილ „კალიასკებით“, ქალაქის საუკეთესო ნაწილში, „დვორეც“ აპარტამენტებში. ის კი არა თუ იგი თურმე ძელ ბინაზე, „ნახალოვკაში“ მდგარა! რა ვქვნა, -ვეკითხებოდი ჩემს თავს გაოცებით—თითქო ყველანი ამბობდნენ, რომ 1917 წლის აქეთ, რაც ქ-ნი დემოკრატია დაქვრივდა და პირველი ქმარი ბაიყუში — თვითმშეყრობელი მოუკვდა იგი ახალ, საუკეთესო ბინაზე გადავიდა?! თურმე ტყუილი არა ყოფილა ეს ამბები! დასწყევლა, რას არ მოჭორავენ! ბოლოს, როგორც იქნა, მივაგენ მის უნინდელ ქოხ-მახს. კარი შევაღე თუ არა, თქვენს მტერს, რაც მე სურათი ნარმომიდგა თვალწინ!

ნამიან, ნესტიან, ნახევრათ ბნელ ოთახში რაღაც გაძალტყავებული, გამოფიტული, ძონძებში გამოხვეული, ფეხშიშველი არსება დამიხვდა. სიცივისაგან დაკრუნჩხულ, დაჭარხლებულ ხელებში გახოხორიკებული ჭადი ეჭირა და ხარბათ ხრავდა მას...

მის დანახვაზე ჭანში დავიშალე, მუხლები ჩამეკეცა.
— ქ-ნი დემოკრატია? - ვკითხე გაოცებით.

— დიახ, მე გახლავართ - წაილუღლულა მან მომავავდა
 ავის ხმით-მეორე ქმარი, მენშევიკი, ეგრე მეძახის...
 რა -გნებავთ?

რაღა მეთქმოდა? დაგუბებული საყვედური სიბრალუ-
 ლის გრძნობით შემეცვალა და შეშფოთებით შევყვირე:
 ე რა მოგსვლია, შე უბედურო?! რატომ, რატომ ხარ
 შენ ეგრე დაგლეჯილ-დაფლეთილი, მშიერ-მწყურვალი,
 როცა იქ სასუსნაო თუ სასურსათო კომიტეტებში, შე-
 ნის სახელით ხავერდ აბრეშუმებს იყოფენ და გოჭ-კა-
 რაქებს ინაწილებენ?!

ქ-მა დემოკრატიამ მძიმეთ ამოიოხრა და თვალებიდან
 ცრემლები გადმოყარა.

—ე-ეხ! სახელი ჩემია, სახრავი სხვისა... რა გაეწყობა,
 რაღა თქვას ადამიანმა?! ეს სოფელი ასეთი ყოფილა: სი-
 მართლეს ვერ იპოვნი სულერთია...

მე კი განვაგრძობდი შეუბრალებლათ... რათ დგეხარ შენ
 ამ ნესტიან, ბნელ სარდაფში, როცა იქ, ქალაქის საუკე-
 თესო ნაწილში, შენი კანონიერი, ჯვარდანერილი პატრონ-
 ები, კომისარ-მინისტრები რვა-რვა ოთახში არიან გამოჭი-
 მულნი?! გაიხედე შენი თვალით მაინც დაათვალიერე, რა
 ზეიმით დაბრძანდებიან სამსახურში ავტომობილ-ეკიპაჟებ-
 ით და ბრუნდებიან იქიდან სამ-ოთხ საათზე!

—მე კი ფეხსაცმელიც არ მაცვია, მე უბედურს-წამოიკ-
 ნავლა ქ-მა დემოკრატიამ და ამ ტუმპო-ძანძალში ფეხშიშ-
 ველი დავეთრევი, თუმცა ამოდენა მზითევი მომყვა-ე-ეხ!

თქვენმა თქვა „ბევრი რამა მაქვს სათქმელი, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო.“

—კარგი, ნავთი რაღა არი, ნავთი, „კერძოსინკა“ რატომ მაინც არ გინთია, რომ ეგ დაკრუნჩხული ხელები გაითბო?!! შენ ქმარს, მენშევიქს იქ მთელი ნლის „ზაპასი“ შესა უწყვია.

ქ-მა დემოკრატიამ შიშით აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და ხმა-დაბლა მკითხა: აქ ხომ „ასობი ატრიადი“ არა დგასო?... მერე მომიახლოვდა და ყურში ჩამჩურჩულა: მაშ არ იცოდი, რომ მეორე ქმარიც მღალატობს? მზითვის გულისთვის ჯვარი დაინერა-ჩემზე და ახლოს აღარ გამკარებია... ეგეც ბურუუაზიას ეარშიყება...

მე გაოცებით ხელები გავშალე.

—მაშ, რაც ჩამომართვეს, რაც მე დამაკლეს, შენთან არ მოუტანიათ, შენ კი არ გაგინანილეს?! - ვკითხე მე ალშვითებულმა.

—შენ არ მომიკვდე, რომ თვალითაც არ მინახავს! გულწრფელათ წამოიძახა ქ-მა დემოკრატიამ-აი მიათვალიერ-მოათვალიერე, თუ იპოვო რამე, -უკანვე მიირთვე... ეგ არაფერი, - დაუმატა მან ოხვრით-უბედრება ის არი, რომ მესამეთ მიპირებენ გათხოვებას? რა ვიცი ვიღაც ბოლშევიკი გამოჩენილა, ეხლა ის მეარშიყება, დიდ ბედნიერებას მპირდება, მაგრამ რა ვქნა, როგორ გავბედო?..

—აღარ გათხოვდე, შე უბედურო, იკმარე მაგდენი ქმრები! შევბედე მე სიბრალულით და ნაღვლიანათ დავბრუნდი სახლში.¹⁵

დაცვის მცირ მცირ დოლორებუ „იშვიავ იუციომ“ დებუ ქლოგორი კუნძულის მინი რეტროსკორენი
 ძირდისირაჯ უტმომდ ძირდებუ დებრიდ ურინდესილას
 -ზრცემდ უფლების ინდოების და ეროფოსტიციის
 -ობ დებირდებუ და ზიდების სახლის დაცულიციის მც
 როგორ ცეციონ დაცულიციის იმცეც ინცეც
 -ის იმდე ... დებირდებუ ლობიცნ ცეციონ ძებურებული
 ნი ინცეციონ სოფ დაცულიციის იუციომის და იმატ
 ძირდისირა „იშვიავ იუციომ ძებურებულიციის მინი დაცულიციის“

ლაქსეპი

იმცი ერთული დაცულიციის დებირდებუ და ძებურებუ იმც
 ნის ინცეციის დებირდებუ დებირდებუ და დებირდებუ
 -ცეც იმცი თოვდის ძირდის დაცულიციის ინცეც იმც
 ცეც ერთული დაცულიციის და ძირდებუ დაცულიციის
 -ცეც და თოვდის დებირდებუ დაცულიციის ძებურებული
 -ის ძებურებული ნის დაცულიციის ძებურებული

თბილისი ჩავლა ჩავლა დაცულიციის და
 -ის და იმცინი დაცულიციის იმანი დაცულიციის
 -ოგ იუციომის იმანი დაცულიციის იმანი დაცულიციის
 დაცულიციის იმანი დაცულიციის იმანი დაცულიციის
 მართლი დაცულიციის და ძებურებული და ძებურებული
 და ძებურებული და ძებურებული და ძებურებული



ლექსი „წითელი ჯვარი“, დაწერილია ჩემ მიერ პირველ
იმპერიალისტურ ომის ხანაში. გორშიც, როგორც სხვა
ქალაქებშიაც, გაიხსნა კავკასიის ფრონტი, ჯარისთვის
საავადმყოფოები და საწყობები, რომელსაც განაგებდ-
ნენ უმთავრესათ ქალაქის „მამები“ და სხვადასხვა მო-
ხელები. ესენი მეტწილად თავიანთ ჯიბეზე უფრო
ზრუნვადნენ, ვიდრე მებრძოლ ჯარისთვის... ერთი სი-
ტყვით, გაქანებული ძარცვა-გლეჯა იყო! გორელები ამ
დაწესებულებას ეძახდნენ: „წითელი ჯვარი“-„ქურდების
სამოთხეო“.

მეც ავდექი და დავწერე ეს ლექსი, რომელმაც ისეთი
აღშფოთება და მრისხანება გამოიწვია ქურდებში, რომ
ჩემი ქუჩაში გამოსვლა პირდაპირ სახიფათო იყო ჩემ-
თვის... მაგრამ მეტ წილ გორელებს, რომელიც განზე
იდგნენ „წითელი ჯვარისგან“, ისე მოსწონდათ ეს ლექ-
სი, რომ დაიზეპირეს და წამდაუწუმ იმეორებდნენ ხმა-
მაღლა. მეტადრე ქუჩის ბიჭები ხომ სიცოცხლეს უმნა-
რებდნენ მათ, ვისაც ეს ლექსი შეეხებოდა... რასა-
კვირველია, რომ ეს ლექსი მაშინ არსად არ დაბეჭდი-
ლა ოფიციალურათ...

მიუხედავათ ამისა, გორში გამოჩნდა უშიშარი და პა-
ტიოსანი ადამიანი, სტამბის პატრონი ციციშვილი, ვგო-
ნებ სახელათ მიშა, რომელმაც მრავალ ეგზემპლიარათ
დაბეჭდა ეს ლექსი და ყველას დაურიგა.

აი ეს ლექსი:

- ძირი "ანდრი ბითელი ჯვარი" მითიდ თემ იმპოზა.
 - გუად მიუგებ მიმდინარეობის მიმღებაში ცეკვა და დამატება
 - იყვითი მის „ნითელი ჯვარი“, „ნითელი ჯვარი“, ან სამოთხე, ძმებო, სად არი!
 - უცხებ და აი სამოთხე, ძმებო, სად არი!
 - ძმო ნა ან სხვა მისთანა თანამდებობა...
 ეცხ იცია დღისით-ლოგინი, ლამე ქალალდი, ან სხვა მისთანა თანამდებობა...
 - ზენ იგორევი ამ ლექსჩე გაგიხარიან, ძედში ჩავვარდი!
 ნიკებული და ფული ჩეჩქივით, ჯილდო უსაქმოთ...
 სუხიც: „ფრაპი“, „მაკაო“, „სტავკა“-უსაზღვროთ...
 კლუბში, პიკნიკში-მუქთი კასეტა...
 მრავალუამიერ ომი და ულეტა!
 იქ სიკვდილია, აქ კი ქორნილი,
 ყველამ ვიზურგეთ ჩვენ ჩვენი ნილი!..
 სალდათის ფული ძედნიერია,
 „ფრაპ“, „მაკაო“-ში თუ ჩაერია!
 კერძო საქმისთვის უხვი, „პრაგონი“
 აი, დალოცოს მისი მომგონი!-
 ნადი გაიგე ვინ რა დახარჯა,
 თბილისში ჩასვლა რამდენი დაჯდა?!
 ცხვრებში, ფარებში მგლები შეუშვეს,
 დანავარდობენ,-მათ ვინ შეუტევს?!
 „სჩოთს“ გავაკეთებ იმისთანასა,
 მწვანილს დაგისვამ სამას მანათსა!
 დიალი, ძმობილო, „ნითელი ჯვარი“
 მუქთა-ხორების სამოთხე არი!

„გორში, ზედ ხიდის ყურთან, გორის „მამებმა“ მოისურვეს, სხვა ქალაქების მიბაძვით, რამე ძეგლის დადგმა გორის გასამშვენიერებლათ, როგორც იქნა ამოიყვანეს პოსტამენტი და შემდეგ დაიწყეს ძებნა და მსჯელობა, ვის დაუდგან ეს ძეგლი. ერთი სიტყვით, ამ პოსტამენტს დიდხანს ვერ უპოვეს შესაფერი თავი. მეც ავ-დექი და ერთ დღეს გორის „მამებს“ მივართვი შემდეგი ლექსი.“

უთავო ძეგლი

უთავო ძეგლო, რის ნიშანი ხარ, ჩაბი, რომ
რა აზრი არის შენში ჩართული? თუ ჩემ-
თავმოკვეთილი რისთვისა დგეხარ,
ვინ იყო შენი მკაცრი მსაჯული?

ნუთუ ქალაქის ანმყო, წარსულში
ვერ გიბოვნია ჯერ ღირსეული,
რომ უკვდავი ჰყო ხალხისა გულში
და მიზანს იყო შენც მიღწეული?

ან სიმბოლო ხარ მთელი ქალაქის,
მის უთავობის გამომსახველი?
დამდგარხარ მცველათ გორისა კარის,
აბა რას იტყვის შენი მნახველი?

თავმოჭრილი ხარ და ჩვენც თავსა გვჭრია
ზედ ხიდის ყურზე გამოჭიმულ ხარ!
ამვლელ-ჩამვლელთან ურცხვათ ხმას
გვიყრი:
„მთელი გორისა ემბლემა მე ვარ!“

(დაიბეჭდა „ეშმაკის მათრახში“)

ამ ლექსზე მაშინდელ ქალაქის თავმა, მშვენიერი მოს-
წრებული და პოეტური ლექსით მიპასუხა. აი მისი პა-
სუხიც:

„ხიდის ყურთან, გორის თავში,
სად ბუტბუტებს ტალღა მტკვრისა,
ამნვანებულ კოხტა ბაღში
ძეგლი მოსჩანს თლილი ქვისა

სდგას უთავო, ხიდის მცველათ-
ქალაქს არცხვენს, ამასხარებს...
და ეს დარდათ, საზრუნველათ
გახდომიათ გორის „მამებს“.

.....
ბატონებო, საქმე რთული
გვაქვს ამ უამათ საზრუნავი.
უთავო ძეგლს ღირსეული
უნდა მოუძებნოთ თავი.

6. აპრილი 14 იანვარი 1932

ჩვენში მხოლოდ ერთი არი
თავი ესრეთ მადლიანი,
ყველამ იცით მისი გვარი:
ქალბატონი აზიანი:

თავს ნიჭიერს, თავს ბრწყინვალეს,
ვერ დაუშლით ჩვენ გართობას:
და ღამე კი, - (ჩვენში დარჩეს): -
ძეგლს დაუდგამთ რამე ქოთანს.
ამაზე მე უპასუხე:

ქოთნის ძებნაც არ დასჭირდებათ,
იქვე ჰქონდათ საწყობები:
თვით მაგებში ბლობათ ჰპოვეს
თიხის თავის პატრონები.

ვუძღვნი ნინო ზაქარიას ასულ ჯორჯაძისას

პირფერობა და ქება

ჩემ კალამმა არ იცის:

ის მუდამ ყველას ებრძოს,

ყველას ჰვენს და დასცინის!

მავრამ რა მიზეზია,

რომ კნეინა ნინასა

თაყვანს სცემს და ჰპოვებს

მასთან მუზის პინასა?

ვინც კი იცნობს ნინოსა

ზაქარიას ასულსა,

ქართველ ქალთა მშვენებას,

ღრმა მუსიკის ქურუმსა,

მის დიდ ტაქტსა, ზრდილობას

რაც უცხოა ამ დროში,-

ასკეტურ მოთმინებას

როს არა აქვს არ „გროში“.

ვაჟკაცურ სიმამაცეს

თუ გინდ სიკვდილ ნინ იდგეს!-

(მისი ჭექა-ჭუხილი

„ჩეკა“-შიც ხომ ვაიგეხ!)

ის აღარ ვაიკვირვებს ცლიერს ჩი

ჩემ კალმის გემოვნებას

და ადვილათ მიხვდება

რათ უძღვნის ნინოს ქებას!“¹⁶

ნინო ზაქარიას ასულ ჯორჯაძისას

27 იანვარი 1932 წ

ორჯერ დღეობის გადახდა
 არ გაგონილა არსადა!
 ნაცნობ-მეგობრებს შენსასა
 დაუჯდა იგი ფასათა!

მხოლოდ გოგოლის „გოროდნიჩს“
 დღეობა ჰქონდა „ნალოგათ“. „მიტროფან“-„ონუფრიაზე“
 ვაჭრებს აძრობდა გონს ბლომათ!

ორჯერ დღეობის მომხრებმა
 სოსო და ოლაც იკითხონ,
 როგორ დარბიან ამ თოვლში,
 რომ „პადარკები“ გიყიდონ!

„როგორც ოსტატი-სომეხი,
 არ დავედრები მე სხვებსა:
 ამ სიძვირეში საჩუქრათ
 მოგართმევ მხოლოდ ლექსებსა!“

ინტერვიუ ვუძღვნი ე... ნ... ს

ვარდი ენდურის ბულბულსა:

„რათ მოწყენილხარ, მკოსანო,-

დღეს რატო სტვენით ჩემ გულსა

არ ატკბობ, ალარ მყნოსავო?“

ბულბულმა ოხვით მიუგო:

„კოკობო, შენთან ვხტყუიო!-

ასკილმა მახე დამიგო...

და მისი ვატკე ყურიო!

ნუხელის მეტად ბნელოდა,

ეშვითაც ვიყავ მთვრალიო,

და, სადაც ვარდი მეგონა,

ასკილი ვაქე მკრთალიო!“

სნორედ შენც ასე, სულიკო,

ვარდათ მეჩვენე ერთ დღესა?

თურმე ასკილი ყოფილხარ,

მე კი ვიძღვნიდი ლექსებსა!

დაიბეჭდა „თემში“

„ოჯობიცას.“

„მიზედ,“ და

„მიზედ,“ და

„მიზედ,“ და

შენიშვნები

27

აგვისტო 1932 წ.

- ¹ ხელნაწერი დაცულია გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმში ნატალია აზიანის არქივში, № 2502-6.
- ² ნ.ჩიხლაძის ნიგნში „ქართველი მოღვაწე ქალები“ ციტატი თვითნებურადაა ჩასწორებული. ამჟამად ჩვენ იგი აღვადგინეთ ხელნაწერის მიხედვით.
- ³ გ.ლეონიძის სახ. ქართ. ლიტ.-ის მუზეუმი. ნ.აზიანის ფონდი. 2490-6 გვ 17-18.
- ⁴ ნ.ჩიხლაძის ზემოთ დასახელებულ ნიგნში შეცდომით მოხსენიებულია კიტა აბაშიძე. სინამდვილეში ნ.აზიანზე 1936 წ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ გმოქვეყნებული წერილის ავტორია კოკი აბაშიძე, ორი საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატორი.
- ⁵ „ივერია“ 1898 წ. 18 იანვარი № 12.
- ⁶ გაზ. „ივერია“, 1898 წ. 18 იანვარი, გვ. 4.
- ⁷ ნ.აზიანი-„პიესები“. 1936 წ.
- ⁸ ქართველი მწერლები, მოგონებები, 2490-6. გვ 12
- ⁹ გაზ. „საქართველო“, 1920წ.
- ¹⁰ პატარა ნაწილი ამ მოგონებისა დაბეჭდილი იყო გაზეთ „თემის“ № 206 1915 წ.
- ¹¹ ეს ლექსი დაბეჭდილია გაზ. „თემში“ № 206, 8 თებერვალი. 1915 წ.

3.

13/1

